CYAN BLACK

საქართველოს რესპუბლიკა

პარასკევი, 24 სექტემბერი, 2004 წელი. №222 (4951) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი



◎ პატივი მივაგოთ გმირებს!

გადავარჩინოთ 300 არაგველის ისტორიული ბაღი!

საქართველოს საპატრიარქოს მიმართვა საქართველოს მოქალაქეებისადმი



300 არაგველის პარკში ამ სასტუმრო-კომპლექსის მშენებლობა საღლეისოდ, საბედნიეროდ, შეჩერებულია. რა იქნება მომავალში?!

დღეს, 24 სექტემბერს (ძველი სტილით 11 სექტემბერს), საქართველოს საპატრიარქო აწყობს ღონისძიებას, რომელიც ეძღვნება კრწანისის ომში დაღუპულ გმირთა წმიდა ხსოვნას. დილის 9 საათზე კრწანისის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში აღევლინება წირვა, რომლის შემდეგ, 13 საათზე 300 არაგველის ბაღში გადახდილი იქნება გმირთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი. პანაშვიდს გადაიხდის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. აქციაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები. ღონისძიების გასაშუქებლად მოწვეულია მასმედია.

1895 წელს კრწანისის ომის ასი წლისთავთან დაკავშირებით წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) წერდა: **„ხვალ, 11 სექტემბერს, კრწანისის მინდორზე პანაშვიდია დანიშნული სახად და სახსენებლად იმ საოცარ გმირებისა, რომელთაც ამ ასის წლის წინად სწორედ ამ დღეს თავი შესწირეს თავისს საყვარელს ქვეყანას, თავის რჯულ-სარწმუნოებას, თავისს ვინაობის ხსნას, თავისს ისტორიის ანდერძს, თავისის ერის სახელსა და დიდებას და ერთობ თავისის ქვეყნის მერმისსა... ჩვენ აქ ჩვენის ბედის წერის ისტორიას არა ვწერთ. ჩვენი სურვილია, ხვალ ყველა დამსწრემ პანაშვიდზედ ცხოველად აღიბეჭდოს იგი საოცარი სურათი ვაჟკაცურ მამულიშვილობისა... ნუთუ მართლა ხვალინდელმა დღემაც ისე უნდა ჩააროს... სირცხვილი იქნება ჩვენთვის, რომ ხვალინდელი დღე ასე კვალ-დაუბნეველად გავაგართო... ნუთუ ღირსნი არ არიან... ვინც ჩვენთვის, ჩვენის ქვეყნისათვის გაიმეტა თავისი თავი, თვისი სიცოცხლე და კრწანისის მინდორზედ დააფარქვია თავისი სისხლი, მტლად დაედო თავის საყვარელს ქვეყანას და თავის მშობელს ერსა?...“**

ილიას მოწოდებამ გასჭრა – 1895 წელს 11 სექტემბერს (ახალი სტილით 24 სექტემბერს) ბრძოლის ველზე მდებარე წმინდა ნიკოლოზის ტაძარში საგანგებო წირვა აღევლინა, ხოლო შემდეგ თბილისის მთელმა სამღვდელოებამ ფართო საზოგადოებასთან ერთად კრწანისის ომში დაცემულ გმირთა სულის საოხად პანაშვიდი გადაიხადა. **„ეს იყო პირველი საჯარო ისტორიული პანაშვიდი. ქართველი ერის მოღვაწეების თხოვნით კონსტანტინე მუხრანბატონმა რუსეთის მეფეს საამისო ნებართვა გამოსთხოვა, ხოლო ქართველმა მოღვაწეებმა ეს პანაშვიდი უდიდეს ეროვნულ დღედ გადაქციეს, მთელ ქართველობას წარმომადგენლობის საშუალებით აქ თავი მოუყარეს, ეროვნული სული და ძალა გამოაჩინეს...“**

იხ. მე-2 გვ.

ნომერში წაიკითხავთ:

აქ, სადღაც უფლის კალთაა - მზისკენ მზირალი სხალთაა...

საიდან მოდის სახელწოდება სხალთა? საქართველოში ხომ ყველა მეორე ისტორიული ძეგლი თამარ მეფის სახელს უკავშირდება! ჰოდა სხალთა რადა გამონაკლისია?

მე-3 გვ.

რუსეთის „პარდების რევოლუციის“ ეშინია

რუსეთ-საქართველოს გამწვავებული ურთიერთობის ფონზე როგორ ესახება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნება – ამის თაობაზე საუბრობს ეროვნული თანხმობის კავშირის პოლიტსაბჭოს წევრი, გაზეთ „ეროვნული თანხმობის“ მთავარი კონსულტანტი მურმან ბაქარაია.

მე-3-4 გვ.



რა მიაწერა ნანა კალანდიამ პომადით თავისი ბაბუის ბინის კარს

ის, რისიც სჯერა და სწამს. ამან კი ისე გააცეცხლა აფხაზები, სოჭიდან სოხუმელ კოლეგებთან საპაექროდ ჩამოსული მხიარულთა და საზრიანთა კლუბის წევრი დევნილი ნანა კალანდია ე. წ. აფხაზეთის უშიშროების სამინისტროში მიაბრძანეს, მაგრამ მისგან შეუპოვარი და გონივრული პასუხის მეტი ვერაფერი მოისმინეს და გაიფიქრეს...

მე-3-4 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„შიბარო“ (საფრანგეთი), 2004 წელი 23 სექტემბერი. ალექსანდრინ ბუილე (შემოკლებით).

LEFIGARO

კავკასია: ევროპა ხელს უწვდის „ახალ მეზობლებს“

ვიდრე ბრიუსელში თურქეთის კანდიდატურის ირგვლივ კამათობდნენ, რომანო პროდიმ განახორციელა სახელმწიფო ვიზიტი, რომელსაც მათთვის, ვინც ჯერ კიდევ ფიქრობს ევროკავშირის მომავალ საზღვრებზე, დიდი მნიშვნელობა აქვს. გასულ უქმეებში ევროკომისიის პრეზიდენტი იმყოფებოდა აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში – სამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან არასტაბილურ და საკუთარი ბედით შეშფოთებულ ქვეყანაში, რომლებსაც მან მთელი ევროპის სახელით მხარდაჭერის ხელი გაუწოდა. „ახლა თქვენ ჩვენი ახალი მეზობლები ხართ“, – იმეორებდა რომანო პროდი სამივე დედაქალაქში. „ჩვენ კავშირთან მეროვებას კი არ გთავაზობთ, არამედ მტკიცე და ძალზე ამბიციურ პარტნიორობას, რომელიც საშუალებას მოგცემთ დროთა განმავლობაში ბრიუსელთან ერთად გაიაწლოთ ყველაფერი, გარდა ინსტიტუტებისა“...

„ჩვენ ძალზე შეშფოთებული ვართ რუსეთის ახლანდელი ევოლუციით“, – თქვა მან და ამ დროს მხედველობაში ჰქონდა მოსკოვის მიერ გამოცხადებული სახელისუფლო სისტემის რეფორმები. **„ჩვენ გვესმის, რომ ეს ძნელია. ეს იგივეა, რომ ცხოვრობდე სპილოს ან, უფრო სწორედ, დათვის გვერდით“**, – მშვიდად უპასუხა მან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელმაც შეშფოთება გამოთქვა პრეზენციული დარტყმების შესახებ პუტინის მუქარასთან დაკავშირებით.

რას მოიმოქმედებს ევროკავშირი, თუ რუსეთი თავის მუქარას შეასრულებს? დაიცავს კი საქართველოს „მეზობლობის პოლიტიკა“?

„ევროპას არმია არა ჰყავს. ჩვენს დახმარებას მარტო ნატო შეძლებს!“ – ეუბნება პროდის ერთ-ერთი თბილისელი სტუდენტი. **„მე მგონი, რომ თქვენს ასაკში თქვენ შეგისმენდა ბევრს ფიქრობთ იარაღზე“**, – პასუხობს ევროპელი ხელმძღვანელი, რომელიც, ასე ვთქვათ, ბრძენი მოხუცის როლში გამოდის. – **ევროპას არ ჰყავს არმია, ეს მართალია. მას შექმნას ბევრი დრო დასჭირდება. შეიძლება თქვენ ოდესმე იხილოთ იგი, მე კი ვერა. მაგრამ ჯერჯერობით ევროპა თქვენ რაღაც სხვას გთავაზობთ, რაც თქვენ სათანადოდ უნდა შეაფასოთ: ეს არის „რბილი უსაფრთხოება“ (soft security)**, – უხსნის იგი ახალგაზრდა ქართველებს. – **„თუ თქვენ ევროპასთან მჭიდრო პარტნიორობით იქნებით დაკავშირებული, დამუქრებას ვერავინ გაგიბედავთ“.**

რომანო პროდის საყვარელი თემა – „რბილი უსაფრთხოების“ კონცეფცია, რომელსაც იგი თბილისშიც და ბაქოშიც უწვევდა რეკლამას, განსაკუთრებულ ენთუზიაზმს არ იწვევს კავკასიაში, სადაც რუსეთს სამხედრო ბაზები აქვს.

ლატენტური კონფლიქტები, რომლებსაც რუსები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში უჭერენ მხარს, შეიძლება უმცირესი ნაპერწკლისგან აფეთქდეს. **„ჩვენ არ გვაქვს არც მშვიდობა, არც ომი, არამედ ეს არის ფეთქებადსაშიში რეგიონი,** – უთხრა რომანო პროდის საქართველოს პატრიარქმა. – **ის, რაც კავკასიის სამხრეთში ხდება, უშუალოდ აისახება ჩრდილოეთ კავკასიაშიც. თუ თქვენ დაგვეხმარებით აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარებაში, ჩეჩნეთის პრობლემა გადაწყდება“.**

ტყვებდა რა იმ კონფლიქტებით აღსავსე რეგიონს, რომლებსაც ევროპა ვერ გადაწყვეტს, ისე, თუ მოსკოვს არ შეეჯახება, რომანო პროდიმ შეიგრძნო ბრიუსელსა და თბილისს შორის არსებული მთელი დისტანცია. იგი, აგრეთვე მიხვდა, რომ მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის რაც შეიძლება ჩქარა ჩართვა ევროპული გავლენის სფეროში.

იხ. მე-2 გვ.

◎ პრესკონფერენცია

ვინ დაარბია მოშიმშილეები?

ისინი შეიძლება კანონსაც არღვევდნენ, მაგრამ მათ მიმართ ძალადობა განა ნაკლები დანაშაულია, დიალოგი საერთოდ დაგვავიწყდა?

გუშინ სახალხო დამცველმა პრესკონფერენციის ჩასაგარებლად თავისი ოფისი დაუთმო თერჯოლის ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელს ბაურ გურგენიძეს, რომელიც სხვა 36 აქტივისტთან ერთად სამი დღის განმავლობაში შიმშილობდა კანცელარიის შენობის წინ. მოშიმშილეები იმერეთის გუბერნატორის, დავით შუმლაძის გადადგომას მოითხოვდნენ. როგორც ბაურ გურგენიძემ განაცხადა, 22 სექტემბერს აქციის მონაწილეები 300-მდე პოლიციელმა და სამოქალაქო განსაცმლითმა პირმა დაარბია.

– დაახლოებით, დილის 4 საათი იქნებოდა, როცა მძინარენი ძახილმა და გინებამ გაგვაღვიძა. მუშტის კვრით წამოგვყარეს. ჩამოხიეს ეროვნული დროშები და გათელეს საქართველოს პრეზიდენტის სურათები, ჩვენ კი ავტობუსში ჩაგვსხეს და იმერეთის მიმართულებით წაგვიყვანეს. უკან პოლიციის მანქანები მოგვყვებოდა, მათ შორის, ორი სატაპტრულო. თბილისიდან გასვლისთანავე ერთ-ერთი მოშიმშილე, 63 წლის ბაურ რუდიკაძე ძალზე ცუდად გახდა, შემდეგ კიდევ ორ ადამიანს განუვითარდა შეტევა, მაგრამ სასწრაფოს გამოძახების უფლება არ მოგვცეს. მდგომარეობა იმდენად სერიოზული იყო, რომ იძულებულნი გახდნენ, ხაშურის საავადმყოფოში მივეყვანეთ, სადაც ამ ადამიანების სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. მე უკან გამობრუნება მოვახერხე. ჯერ ტელევიზიით გავაკეთე განცხადება, შემდეგ სახალხო დამცველთან გამოვცხადდი, მოგვიანებით კი თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლებსაც შევხვდი.

როგორც აქციის ორგანიზატორი აცხადებს, დანარჩენი მოშიმშილეები თერჯოლაში ჩაიყვანეს. ისინი კვლავ გააგრძელებენ შიმშილობას.

გურგენიძის თქმით, დამრბევებში მან ნაცნობი სახეები დაინახა, ერთ-ერთ მათგანს კანცელარიის ეზოში დაყენებული თავისი ავტომანქანაც ჩააბარა. საპატრულო პოლიციის თანამშრომელს კეთილსინდისიერად შეუსრულებია თავისი „მოვალეობა“, რის სათქმელად დაურეკავს კიდეც ავტომობილის მფლობელისთვის.

ამის შემდეგ ყოფილმა მოსამართლე გურგენიძემ პოლიტიკურ განცხადებებს მიმართა.

– ბოლო დროს საეჭვოდ გააქტიურდა მახეილ მაჭავარიანი, რასაც შიდაპარტიული არეულობა მოჰყვა სამეგრელოს რეგიონში. მალე ასევე ვახერხო და ბაგონ მიხეილ სააკაშვილს გავუშიაო ჩვენი მოსაზრებები. უნდა ვუთხრათ ისიც, რომ მას ატყუებენ, რომ იმერეთიში მას არ ჰყავს კარგი გუბერნატორი. მიხეილ მაჭავარიანისა და დავით შუმლაძის ალიანსი ცხადია. საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში მუშაობის დროს მუმლაძე მაჭავარიანის მოადგილე იყო. როცა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, მკაცრ ზომებს მივმართავთ კანცელარიის ეზოში მოკოტრიალე ადამიანების წინააღმდეგო, ფაქტობრივად, აქციის დარბევის ინიციატორი თავად მდგომარეობა შეიქმნება სხვანაც. მაჭავარიანმა ჩვენც, ფაქტობრივად, „გაგვრიცხა“ პარტიიდან, რისი უფლებაც არ ჰქონდა. ვფიქრობ, ამას სხვა სარჩელი უდევს. მიხეილ მაჭავარიანი პარგიას შიგნიდან შლის. ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრება არ არის, ნაციონალური მოძრაობის წევრების უმრავლესობა ასე ფიქრობს. მშვიდობიანი აქციის დარბევა მიმართული იყო პრეზიდენტის წინააღმდეგ, მისი იმიჯის შესალახავად. მინდა მოვახსენო. მისი პოლიტიკური განცხადება სხვებმა მოიყვანეს სისრულეში.

სახალხო დამცველი სოფარ სუბარი ამ ფაქტთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, თავშეკავებულად ლაპარაკობს, რადგან მასალების შესწავლა ჯერ არ დასრულებულა. ომბუდსმენი თავის პოზიციას ყველა დეტალის გარკვევის შემდეგ გამოხატავს.

იხ. მე-2 გვ.

◎ ინფორმაცია

ნინო ბურჯანაძე უჩრაინაში გაემგზავრა

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ უკრაინაში დაგეგმილ სუუამის საპარლამენტო ასამბლეის დამფუძნებელ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად კიევში გაემგზავრა. აქ იგი სიტყვით გამოვა.

„ევერიას“ „აჭარას“ მიჰყვება?

სასტუმრო „ივერიის“ შემდეგ, დევნილებისგან შესაძლოა სასტუმრო „აჭარაც“ გათავისუფლდეს.

როგორც ინტერ-პრესს სარწმუნო წყარომ აცნობა, გუშინ დილით სასტუმრო „აჭარაში“ მცხოვრები დევნილები უკვე გააფრთხილეს, რომ ორი კვირის ვადაში შენობა უნდა დაცალონ. ამ საკითხთან დაკავშირებით მერიის შესაბამის სტრუქტურებში კომენტარს არ აკეთებენ.

გავრცელებული ინფორმაციით, „აჭარაში“ მცხოვრებ დევნილებს, ისევე როგორც „ივერიაში“, 7 000 დოლარს მისცემენ თითო ოთახისთვის.

სასტუმრო „აჭარაში“ დღეისათვის 300-მდე ოჯახი ცხოვრობს.

კოლექსს მხარს არ უჭერენ

ახალ „საგადასახადო კოდექსს“ პარლამენტში განხილვისას გუშინ პირველი წინააღმდეგობა შეხვდა. აგრარულ საკითხთა კომიტეტი კოდექსს მხარს არ უჭერს, რადგან მიაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის დარგის ინტერესები მასში გათვალისწინებული არ არის.

როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ გია ხევაშვილმა განაცხადა, არსებული საგადასახადო რეჟიმით სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია, ამიტომ საჭიროა სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოება ყველანაირი გადასახადისგან გათავისუფლდეს.

– ვიდრე მთავრობაში სოფლის მეურნეობას ისწავლიან, დარგი საერთოდ აღარ გვექნება. ჩვენს პრეტენზიებს წერილობით ჩამოვაყალიბებთ და პრეზიდენტს გავუგზავნით, ვერ დავუჯერთ მხარს ამ კოდექსს და მე პირადად ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ იგი პარლამენტში არ გავიდეს, – განაცხადა ხევაშვილმა.

სისხლის ყივილი

შერეიდნელი ქართველების 35-კაციანი დელეგაცია გუშინ ისტორიულ სამშობლოს – მარტყოფს ეწვია.

სტუმართაგან სამმა სურვილი გამოთქვა, რომ მარტყოფის ღვთისმშობლის მონასტერში მართლმადიდებლური წესით მოინათლოს.

ინტერ-პრესი.

◎ აქტუალური თემა

ვითომ, დაგვავიწყდებოდა?

საქართველო ერთადერთი არ არის იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები უნდა განახორციელონ. მეწარმეთა მიერ საკუთარი ბიზნესის დაწყება, საოპერაციო საქმიანობა, მუშა-მოსამსახურეების დაქირავება-გათავისუფლება, კონტრაქტების აღსრულება, კრედიტების მიღება და სხვა, მდიდარ სახელმწიფოებთან შედარებით ღარიბი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გაცილებით გაძნელებულია. ამის მიზეზი კი საკუთარი ადმინისტრაციული პროცედურების სირთულე გახლავთ. ბიზნესის წარმართვის გაიოლებაზე ყველა ქვეყანა ოცნებობს. თუმცა, წელგამართულ ქვეყნებს საოცნებო ამ მხრივ არაფერი აქვთ. ეს სიტყვა უფრო ჩვენისთანა ქვეყნებს შეეფერება. ერთი საინტერესო დეტალი: ექსპერტების აზრით, ევროკავშირში გაერთიანებულ წევრებთან შედარებით, ბიზნესის დასარეგისტრირებლად საქართველოში ყველაზე ცოტა დროა საჭირო. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებული ხარჯები ჩვენთან საკმაოდ მაღალია.

იხ. მე-2 გვ.

ინტერპანორამა

აშშ ახალ ტერაქტს ელოდება, რომელიც, ხელისუფლების აზრით, შესაძლოა, უახლოესი ოთხი-ექვსი კვირის მანძილზე მოხდეს და, ზოგიერთი მონაცემების მიხედვით, ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული ავტოფურგონით განხორციელდეს.

ბრიტანელ „ჟანას“ მიერ დაცარიელებულ პაიგიზე შესაძლო მშიერი ადამიანების ბუნება დაიწყოს. 200-ათასიან ქალაქ გონაივში, რომელიც ყველაზე მეტად დააზარალა წყალდიდობამ, გაეროს მისიის არგენტინული კონტინგენტის ჯარისკაცები იძულებული გახდნენ, ჰაერში სროლით გაეფანტათ ადამიანები, რომლებიც სასურსათო დახმარების საწყობად გადაკეთებული სკოლის შენობის შტურმით აღებას აპირებდნენ.

შაბათს ერაყს დაგოვებს ახალი ბელანდიის საინჟინრო ქვედანაყოფის 61 სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც ბასრაში დიდი ბრიტანეთის სამხედრო ბაზაზე იმყოფებოდნენ. ისინი საბრძოლო ოპერაციებში არ მონაწილეობდნენ და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოებზე იყვნენ დასაქმებული.

CYAN BLACK

საქართველოს რესპუბლიკა
№ 222, პარასკევი, 24 სექტემბერი, 2004 წელი.

პატივი მივაგოთ გმირებს!

გადავარჩინოთ 300 არაგველის ისტორიული ბაღი!

(პირველი გვერდიდან)

„საქართველოს ყოველ კუთხეში დაიგზავნა კაცები, მოწვეულ იქნენ წარმომადგენლები... იდგნენ რამდენიმე მღვდელმთავარნი შემოსილი ხატებითა და ჯვრებით შემკულნი, ეპისკოპოზების მეთაურობით; აქვე, ქალვაჟ მგალობელთა გუნდი. შემდეგ წარჩინებულნი, საზოგადო მოღვაწენი, საქართველოს ყოველი კუთხიდან მოსული წარმომადგენელნი, კონსტანტინე ბაგრატიონი, მესამოცე წლების მოღვაწენი — ილია — აკაკის მეთაურობით... (ვ. მგელაძე, მოგონებები, პარიზი, 1934 წ.).

მადლიერმა შთამომავლობამ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდშიც შეძლო კრწანისის ბრძოლის გმირებისა და მათ შორის მეფისათვის თავგანწირვით გამორჩეული 300 არაგველისთვის სათანადო პატივის მიგება: კრწანისის ბრძოლის ეპიცენტრსა და მებრძოლთა საძმო განსასვენებელს, ძველად სეიდაბადის ბაღებად ცნობილ ტერიტორიას, 300 არაგველის სახელობის ბაღი ეწოდა, აქვე აღიმართა მათივე სახელობის მემორიალი. ორთაჭალჰესზე გადასასვლელ ხიდს, ხიდთან არსებულ მოედანსა და თვით მოშორებით მდებარე მეტროპოლიტენის სადგურსაც კი 300 არაგველის სახელი დაერქვა.

შემთხვევითი არ იყო, რომ წლეულს, 26 მაისს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებული საზეიმო აღლუმი, ღვთის განგებით, ამ წმიდა ადგილზე გაიმართა, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მისი ისტორიული მნიშვნელობა.

ჩვენდა სამწუხაროდ, 300 არაგველის ისტორიულ და წმიდა ბაღს საფრთხე ემუქრება — აქ დაწყებულია სასტუმრო-კომპლექსის უკანონო მშენებლობა, რომელმაც უკვე გაანადგურა ბაღის დიდი ნაწილი და ხელყო კრწანისის ომში დაღუპულ გმირთა ძვლები.

ძვირფასო თანამოქალაქეებო, მიგვაჩნია, რომ ჩვენი გმირი წინაპრებისთვის პატივის მიგება ყოველი ჩვენგანის ვალია. გთხოვთ, მობრძანდეთ 300 არაგველის ბაღში, მონაწილეობა მიიღოთ აღნიშნულ ღონისძიებაში და მხარი დაგვიჭიროთ ამ ისტორიული ბაღის გადარჩენის საქმეში.

ერთად შევუნარჩუნოთ ჩვენ მომავალ თაობას ეროვნული სიწმიდეები და ისტორია. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და გაგამარჯვებინოთ ყველა ღვთივსათნო და მამულიშვილურ საქმეში.



რედაქციისაგან: 300 არაგველის ისტორიულ ბაღში დაწყებულ სასტუმრო-კომპლექსის უკანონო მშენებლობაზე ჩვენ არაერთხელ ვწერდით. რედაქცია დღესაც მხარს უჭერს საპატრიარქოს პოზიციას და ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ 300 არაგველის ბაღის გადარჩენა თითოეული ქართველის უპირველესი მოვალეობაა.

აქტუალური თემა

ვითომ, დაგვავიწყდებოდა?

(პირველი გვერდიდან)

ქართველ ბიზნესმენებს ბევრი პრობლემა აქვთ. ისინი დიდი ხანია გადასახადების შემცირებას და შესაბამისი ბიზნეს-გარემოს შექმნას ითხოვენ, რაც, უპირველესად, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვას გულისხმობს. საინტერესოა, რას პირდება მათ ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც ამდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია? 25 ოქტომბერს საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტში მთავრობის წევრების, ბიზნესმენებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით ახალი საგადასახადო კოდექსის პრეზენტაცია გაიმართება. 27 ოქტომბერს კოდექსი პარლამენტის სხდომაზე განსახილველად გავა. ამ კანონპროექტის დროზე მიღება ქვეყნისთვის პრინციპული საკითხია. საგადასახადო კოდექსი ძალაში 1 იანვრიდან შევა.

პროექტით არსებული 21 გადასახადისგან მხოლოდ 8 გადასახადის დატოვებაა გათვალისწინებული. კერძოდ, საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, სოციალური გადასახადი, აქციზი, ბუნებრივი რესურსების სარგებლობის გადასახადი, ქონების გადასახადი და სათამაშო ბიზნესის გადასახადი.

ყველა კეთილსინდისიერ გადამხდელს ვადით შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, საგადასახადო ვალდებულების გადავადების უფლება 3,7 და 9 თვემდე ექნება.

აღნიშნული საკითხების პარალელურად, არაკეთილსინდისიერი გადამხდელების მიმართ საგადასახადო ვალდებულებების იძულებით აღსრულების ინსტრუმენტები დაიხვეწა, რამაც არაკონკურენტული გარემოს ფორმებისაგან კეთილსინდისიერი გადამხდელის დაცვა უნდა უზრუნველყოს და სხვა. საკმაოდ სქელტანიან დოკუმენტში ბევრი სიახლეა. უფრო სწორად, არის როგორც კარგი, ისე ცუდი სიახლე.

დავიწყოთ კარგიდან: ახალ კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, დაბალი შეძლების მქონე ოჯახებს სოციალური შეღავათის ადეკვატურ თანხას ხელზე მისცემენ. ეს ცვლილება ძალაში პირველი მაისიდან უნდა შევიდეს, რაც ძალიან ბევრ ოჯახს გაახარებს. სხვა არაფერი ღირსება რომ არ ჰქონდეს ახალ საგადასახადო კოდექსს, ჩვენი მოსახლეობისთვის ეს მეტად საჭირო ცვლილება, ბევრს ნიშნავს. ასევე, ფულის სახით მიიღებენ სოციალურ დახმარებას ომის მონაწილეები, რომლებიც დღემდე საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებულნი არიან. არადა, რეალურად ომის ვეტერანები ამ შეღავათით ვერ სარგებლობდნენ, იმდენად რამდენადაც მათი დიდი ნაწილი ბიზნესს არ ეწეოდა. შესაბამისად ვერც საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრებოდა, ამიტომ სოციალური შეღავათი ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მოკლედ, ეს ხარვეზი გამოსწორდა. კულუარული ინფორმაციით, ამ სწორ გადაწყვეტილებამდე ქვანია-ნოღაიდელი-ბენდუქიძე ერთობლივად მივიდნენ, რითაც სოციალური შეღავათების ეფექტიანობა გაზარდეს და საგადასახადო ადმინისტრირებაც გააადვილეს.

ურწმუნოთა აზრით, ხელისუფლებას აღნიშნული შეღავათების შესაბამისი ხარჯის 2005 წლის ბიუჯეტში შეტანა გაუჭირდება, მაგრამ ჩვენ მაინცდამაინც ურწმუნოებს რატომ უნდა დავუჯეროთ? იმედი ვიქონიოთ, რომ შეღავათის ადეკვატურ თანხას მომავალი წლის ბიუჯეტში აუცილებლად გაითვალისწინებენ.

ტერმინი დღგ, ანუ დამატებითი ღირებულების გადასახადი, სადავო ხდება. ბიზნესმენები აცხადებენ, რომ კლასიკური გაგებით, დღგ სწორედ დამატებითი ღირებულებაა, ანუ ფასნამატი, რომელსაც მეწარმე თავის საქონელს ადებს და დამატებითი ღირებულების გადასახადიც აქედან უნდა იანგარიშონ, მაგრამ რეალურად ასე არ ხდება. არადა, დღგ-ს ფასნამატიდან რომ ანგარიშობდნენ, ბიზნესს ეს სერიოზულ შედეგს მისცემდა. ასეთ შემთხვევაში, მეწარმეს 100-ლარიანი პროდუქციის გაყიდვა 118 ლარად კი არა, 101.8 ლარად მოუწევდა.

ეს საკითხი ბიზნესმენებისა და ექსპერტების გასარჩევად დავტოვოთ, ჩვენ კი „ჩვენი“ დღგ ვიდარდოთ. ძველი კოდექსით პრესას ერთადერთი დღგ-ზე ჰქონდა შეღავათი, ახალით კი თურმე ესეც არ ექნება.

ცნობისათვის: 1993-1994 წლებში პრესა გადასახადისგან საერთოდ განთავისუფლებული იყო, რითაც სამოქალაქო ომის შემდეგ თავი გადაირჩინა. მოგვიანებით ისევ ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმში მოახვედრეს, მაგრამ 18-პროცენტიანი დღგ-სგან გაანთავისუფლეს. ახლა კი ეს შეღავათი პრესისთვის საჭიროდ არ ჩათვალეს. ისმება კითხვა, რატომ?

ახალი საგადასახადო კოდექსის ავტორები, მოტივად იმას ასახელებენ, სამაგიეროდ პრესა ქაღალდის საბაჟო გადასახადისგან გავანთავისუფლეთო. მოგეხსენებათ, პრესისთვის ქაღალდი დღეს საქართველოში არ იწარმოება და გარედან შემოაქვთ. — ჩვენ შეღავათი გავუუქმეთ პრესას, მაგრამ სამაგიეროდ ვაპირებთ ქაღალდზე გავანულოთ საბაჟო გადასახადი და აღარ დავბეგროთო, — აცხადებს ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე.

ჯერ ერთი, როგორც ამას საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, ეს გადასახადი პრესისთვის დიდი ვერაფერია, მაგრამ რაც ყველაზე მეტად განსაცვიფრებელია, საუბარია თურმე იმ გადასახადის გაუქმებაზე, რაც ორი წლის წინათ გაუქმდა. ვითომ, დაგვავიწყდებოდა?

ჟურნალისტებმა „გამოიხრიკეს“ „საბაჟო ტარიფებისა და გადასახადების“ შესახებ კანონში 2002 წელს შეტანილი ცვლილებები, სადაც გარკვევით წერია, რომ 2003 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 1 იანვრამდე ქაღალდზე საბაჟო გადასახადი 4 პროცენტით განისაზღვრა. 2004 წლის 1 იანვრიდან 2005 წლის 1 იანვრამდე ეს გადასახადი 2 პროცენტამდე უნდა შემცირებულიყო (შემცირდა კიდეც), ხოლო 2005 წლის 1 იანვრიდან ქაღალდზე გადასახადი საერთოდ უქმდებოდა.

გამოდის, გვატყუებენ?! ამ და სხვა კითხვებზე კომენტარისთვის პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისათვის“ ორი დღეა, ვერ მოიცალა. არა უშავს, პასუხს საკომიტეტო განხილვაზე მოვისმენთ.

მზია გელენავა.

ინფორმაცია

კანონმდებლობა

კანონპროექტის მუხლები შეიცვალა

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონპროექტის ავტორები დათმობაზე წავიდნენ და კანონში ლიცენზირების საკითხთან დაკავშირებული მუხლი არსებითად შეცვალეს.

როგორც გუშინ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის სხდომაზე ითქვა, კანონპროექტის ცვლილების თანახმად, კონკურსი მხოლოდ ახალ სიხშირეებზე გამოცხადდება, მოქმედ კერძო მაუწყებლებს კი, 10-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, ლიცენზია მარეგულირებელი კომისიის მიერ გარკვეული პირობების წაყენების შემდეგ გაუგრძელდებათ. ასევე შეიცვალა ის მუხლიც, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივ ტელევიზიას ტელეანძა საკუთრებაში გადაეცემოდა.

რეაქცია

ვალერი ხრუსტალი ადანაშაულებს

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვალერი ხრუსტალმა „სამარცხვინო“ და „არაკომპეტენტური“ უწოდა სახალხო დამცველის განცხადებას,

როცა მან ხრუსტალი საპროცესო ნორმების დარღვევაში დაადანაშაულა.

როგორც ვალერი ხრუსტალმა გუშინ უზენაეს სასამართლოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სოზარ სუბარი მართალია იურისტი არ არის და ამიტომ დაზღვეული ვერ იქნება არაკვალიფიციური განცხადებებისგან, მაგრამ „მას ბრალდებების საჯაროდ წაყენების წინ, შეეძლო კონსულტაციები იურისტთან გაევლო“.

ხრუსტალის თქმით, სოზარ სუბარის მიერ გაკეთებული განცხადებები უზენაესი სასამართლოს დისკრედიტაციისკენ არის მიმართული.

სოციუმი

ნათელაშვილს საჩივლელს არ ულევენ

„საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ წევრმა გიორგი გუგავამ გუშინ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში პარტიის თავმჯდომარის შალვა ნათელაშვილის სახელით კერძო საჩივარი შეიტანა.

ნათელაშვილი, როგორც კერძო მოსარჩელე, სასამართლოში „ელექტროკავშირის“ აბონენტებისთვის წუთობრივი გადასახადის შემოღებას ასაჩივრებს, რაც 1 ოქტომბრიდან იგეგმება.

იმ შემთხვევაში, თუ რაიონული სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებს, ნათელაშვილი მას თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრებს. ინტერ-პრესი.

პრესკონფერენცია

ვინ დაარბია მოშიმშილეები?

(პირველი გვერდიდან)

პრესკონფერენციის დამთავრებისთანავე სოზარ სუბარმა კომენტარი გაუკეთა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, ვალერი ხრუსტალის განცხადებებს. შეგახსენებთ, რომ ომბუდსმენმა მას კანონდარღვევაში დასდო ბრალი, რის შედეგადაც ზაზა ცეცხლაძეს ციხეში ზედმეტი სამი თვის გატარება მოუხდა. ხრუსტალმა სოზარის განცხადებას სამარცხვინო და არაკომპეტენტური უწოდა. სოზარ სუბარის კომენტარი ასეთია:

— ჩვენ დღესაც ვამტკიცებთ, რომ ვალერი ხრუსტალმა უხეშად დაარღვია კანონი, შელახა ადამიანის უფლება. მოსამართლე, რომელიც უსამართლობას სჩადის, თანამდებობაზე არ უნდა იყოს არათუ უზენაეს სასამართლოში, არამედ ქვეინსტანციებში. საჭიროა მისი დასჯა, თუნდაც პრევენციული მოსაზრებით. რაც შეეხება ხრუსტალის განცხადებას, თითქოს ჩვენს მიერ გახმაურებული ინფორმაცია იუსტიციის სამინისტროში ინახებოდა, საიდუმლო იყო და მისი მოპოვების უფლება არ გვქონდა, უვიცობა და ადამიანის უფლებების უპატივცემულობაა. ეს ინფორმაცია საჯაროა, ამდენად, ხელმისაწვდომია არა მხოლოდ სახალხო დამცველისთვის, არამედ ნებისმიერი მოქალაქისთვის. თუ ამ დოკუმენტს ვინმე მართლაც ასაიდუმლოებდა, დანაშაული ჩაუდენია. ამ ფაქტის შესასწავლად მე განცხადებით მივმართავ გენერალურ პროკურატურას.

რუსუდან გახარია.

სიახლე

კოსტავას ქუჩა განთავისუფლდა, ხალხი კი მაინც უკმაყოფილოა

უკვე მეოთხე დღეა კოსტავას ქუჩაზე, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე, გმირთა მოედანსა და ვარაზისხევში სამკუთხედი გაკეთდა, რომელმაც დედაქალაქის ცენტრში აბსოლუტურად შეცვალა საგზაო მოძრაობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

დედაქალაქის საპატრულო პოლიციის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ამ საკმაოდ რთული საქმის გაძღოლა.

კოსტავას ქუჩაზე, საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის ახალი სქემით საგანგებოდ დავინტერესდით და ზოგიერთ მძღოლს და ქვეითად მოსიარულეებს გავესაუბრეთ. აღმოჩნდა, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მოსწონს, ზოგიერთებს კი პირიქით, აღიზიანებს ეს სიახლე.

გელა შავდია, ინჟინერი: — აქ არა მგონია ოდესმე წესრიგი დამყარდეს, რადგან მანქანები ისევ ჩაიხერგება, რატომ? — თუ კერძო მესაკუთრეთა ავტომანქანები გზების ორივე მხარეს ისევ ჩარიგდებიან, — „საცობები“ ხშირად გვექნება. უპირველესად, გზები უნდა განთავისუფლდეს. ხშირ შემთხვევაში ეს მანქანები მაღაზიებისა და კვების ობიექტების წინ საათობით დგანან. ეს დაუშვებელია, კერძო მანქანების სადგომი ამ ქუჩაზე არ უნდა იყოს...

ლალი ბველესიანი, ქვეითად მოსიარულე. — ვისაც კერძო მანქანა არა გვყავს, მდგომარეობა, სამწუხაროდ, გაგვიუარესდა, რადგან ვინც ფილარმონიასთან, კოსტავას ქუჩაზე ცხოვრობს და რკინიგზის სადგურიდან მოდის, ორი ტრანსპორტი უნდა გამოიცვალოს, ჩემთვის, მაგალითად, არანაირად ხელსაყრელი არ არის, ახლა მოვდივარ ვარაზისხევიდან და მანქანები უნივერსიტეტის წინ ჩახერგილი იყო ისე, როგორც ადრე. ასე რომ, მე უკმაყოფილო ვარ.

ასეთი საწინააღმდეგო აზრები სხვებმაც გამოთქვეს, თუმცა, მძღოლებზე ამას ვერ ვიტყვით. მაგალითად, №2 სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა ველოდი გაგუამ დიდი მადლიერებაც გამოხატა და დასძინა: კოსტავას ქუჩაზე საათობით ვიდექით და ამ ხალხის გამკვირვებია, ყველაფერზე უარყოფითი აზრი როგორ შეიძლება ჰქონდეთო. იქვე, მელიქიშვილზე, საჯესთან მჯდომ ქალბატონებსაც გავესაუბრეთ (საგზაო წესების დარღვევაში მამაკაცები ქალებს ნამდვილად ვერ შეედრებიან, ქალები უფრო „თამამები“ არიან და ხშირად თავხედურად, გამაღიზიანებლად იქცევიან). ერთმა ქალბატონმა, რომელმაც თვითონ დაარღვია მოძრაობის წესები, ძალიან გაღიზიანებულმა, ჩვენთან საუბარიც კი არ ისურვა და შორიდან მოგვაძახა, ასეთი სისულელე დედაქალაქის ხელმძღვანელობას ჯერ არაფერი გაუკეთებიაო, მე ფიქრის გორაზე ვცხოვრობ და ამხელა წრეზე შემოვლა მიხდება. რუსთაველიდან მომავალს, რაში მჭირდებაო ასეთი „სამკუთხედი“?

ფილარმონიის წინ, მოედანზე ახალგაზრდა პატრული შევნიშნე, თავი გავაცნო. იგი ინსპექტორი **დავით გვენეტაძე** აღმოჩნდა:

— სიტუაცია რომ განმუხტული და გაუმჯობესებულია, — ამის უარყოფა ნამდვილად არ შეიძლება. ხომ გახსოვთ, როგორი საცობები იყო, ხალხი კმაყოფილია, მძღოლები ჩვენთან მადლიერებას გამოხატავენ. ყოველ შემთხვევაში, თბილისელთა დიდი უმრავლესობა „სამკუთხედის“ მომხრეა. დარწმუნებული ვარ, ზოგიერთი უკმაყოფილოც მალე შეეჩვევა სიახლეს და არ გაღიზიანდება.

ჩემი აზრით, მართალი თქვა ახალგაზრდა პოლიციელმა.

ნანა სულავა.
ჯავარ ლომაძის ფოტო.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ნეზავისიმაია გაზეტა“ 2004 წლის 23 სექტემბერი იური სიმონიანი.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

სავიზო შლაგბაუმი

მოსკოვი საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ტერიტორიაზე შესვლის რეჟიმს ამკაცრებს

(პირველი გვერდიდან)

ბოლო ორი დღის განმავლობაში „დომოდედოვოს“ და „შერემეტიევო-2“-ის აეროპორტებში ადგილობრივმა მესაზღვრეებმა რუსეთის დედაქალაქში ჩასული საქართველოს ორმოცდაათამდე მოქალაქე დააკავეს. ზოგიერთი მათგანი უკვე დაბრუნდა სამშობლოში. დაკავების ოფიციალური მიზეზია არასწორად გაფორმებული ვიზები. როგორც სააგენტო „ინტერფაქსი“ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო უწყების წყაროზე დაყრდნობით იუწყება, საქართველოს მოქალაქეთა ვიზების სტატუსი არ შეესაბამებოდა ამ მოქალაქეების რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ჩამოსვლის მიზნებს. **„საქართველოს მოქალაქეები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ იქნენ შეშვებული რუსეთის ფედერაციაში შესვლისა და რუსეთის ფედერაციიდან გამოსვლის წესის შესახებ კანონის 26-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად. ამ პუნქტში ლაპარაკია რუსეთის ფედერაციაში ყოფნის მიზნის შესახებ წინდაწინვე მცდარი შეტყობინების შესახებ“,** — ასეთი ახსნა მოგვცა მესაზღვრემ. ჩვეულებრივ ენაზე გადმოთარგმნილი ეს ახსნა იმას ნიშნავს, რომ „არშეშვებულებმა“ შეიძინეს, დავუშვათ, ტურისტული ვიზა, სინამდვილეში კი რაღაც სხვა საქმეებისთვის ჩამოვიდნენ და ეს გულუბრყვილოდ აღნიშნეს სამიგრაციო ბარათში.

როგორც რუსეთიდან უკვე დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეები ამბობენ, ისინი იძულებულნი იყვნენ წინდაწინვე წასულიყვნენ დარღვევებზე, ვინაიდან რუსეთიდან რეალური მიწვევების მიღებას და ვიზების შემდგომ გაფორმებას შეიძლება საკმაოდ დიდი დრო — დაახლოებით ერთი თვე ან კიდევ უფრო მეტი დასჭირდეს. სწორედ ამიტომ რუსეთში წასვლის მსურველთა აბსოლუტური უმრავლესობა ამჯობინებს ისარგებლოს შუამავალი ტურისტული ფირმების მომსახურებით. ცხადია, ეს ბევრად ძვირი ჯდება — შუამავალი ფირმები საკუთარ მომსახურებას ვიზის ხანგრძლივობისდა მიხედვით, 30-დან 300 დოლარამდე აფასებენ. მაგრამ სამაგიეროდ, ვიზებს სწრაფად, მაქსიმუმ ორი კვირის განმავლობაში აფორმებენ. სხვათა შორის, თავად თბილისის ტურისტულ ფირმებში „ნეზავისიმაია გაზეტას“ ანონიმურად აუხსნეს, რომ ესოდენ მაღალი „ნიხრი“, რომელიც რამდენჯერმე აღემატება ოფიციალურ ტარიფებს, იმით არის განპირობებული, რომ ისინი „სხვებსაც უყოფენ“. კონკრეტულად ვინ იგულისხმება ამ „სხვებში“, ფირმის წარმომადგენლები არ აზუსტებენ.

ამჟამად მოსკოვში მომხდარი ინციდენტის გამო საქართველოს შუამავალმა ტურისტულმა ფირმებმა ფაქტობრივად შეაჩერეს მუშაობა და ელოდებიან საქართველოში რუსეთის ფედერაციის საკონსულო სამსახურის ახსნა-განმარტებებს. ყოველ შემთხვევაში ოთხივე იმ ფირმაში, რომლებსაც „ნგ“-ს კორესპონდენტმა ექსპერიმენტისთვის მიმართა ვიზების მისაღებად, დოკუმენტების მიღებაზე უარი უთხრეს: „ჩვენ მუშაობას მაშინვე განვაახლებთ, როგორც კი რუსეთის საკონსულოდან სრულ ინფორმაციას მივიღებთ“.

ინციდენტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მოსკოვის აეროპორტში, მსჯელობის საგანი გახდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოადგილის მერაბ ანთაძის შეხვედრაზე საქართველოში რუსეთის ელჩთან ვლადიმერ ჩხიკვიშვილთან. ელჩს გადაეცა ნოტა, რომელშიც ქართული მხარე რუსეთის საგარეო პოლიტიკურ უწყებას მომხდართან დაკავშირებით განმარტებებს სთხოვს. ოთხშაბათს გამართულ ბრიფინგზე მერაბ ანთაძემ განაცხადა, რომ ნაწილობრივ ეთანხმება რუსეთის მესაზღვრეთა ქცევას. **„გაძლიერებული რეჟიმის პირობებში მათ დაიწყეს გაცემული ვიზების სტატუსის დაწვრილებით შემოწმება, რამაც საქართველოს ზოგიერთ მოქალაქეს გარკვეული პრობლემები შეუქმნა“,** — თქვა მან და თავის თანამემამულეებს და ტურისტულ ფირმებს ურჩია, ზუსტად დაიცვან დადგენილი წესები. **„თუ ეს კერძო ვიზაა, უნდა არსებობდეს შესაბამისი მიწვევა, ხოლო თუ ტურისტულია, მაშინ საქართველოს მოქალაქეთა მოსკოვში ჩასვლა უნდა შეესაბამებოდეს ანკეტაში მითითებულ მიზანს — ვიზის სტატუსი უნდა შეესაბამებოდეს მგზავრობის მიზნებს სამიგრაციო ბარათში“,** — განაცხადა ანთაძემ.

რუსეთის მხარისადმი პრეტენზიები არც რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოში აქვთ. როგორც გუშინ თბილისის რადიოსადგურ „იმედისთვის“ მიცემულ სატელეფონო ინტერვიუში ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა თეიმურაზ გამცემლიძემ განაცხადა, საელჩოს **„არ გააჩნია ცნობები მოსკოვში რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული ფართომასშტაბიანი ოპერაცია „მიგრანტის“ მსვლელობისას რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ“.**

საგულისხმოა, რომ სექტემბერში საქართველოს მოქალაქეებს რუსეთთან სახმელეთო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებითაც გაუჩნდათ პრობლემები. ბესლანში მომხდარი ტერაქტის შემდეგ რუსეთის მესაზღვრეებმა ცალმხრივად დაუყოვნებლივ აკრძალეს საქართველოს მოქალაქეებისთვის „ზემო ლარსის“ საკონტროლო-სასაზღვრო პუნქტის ავლით რუსეთის ტერიტორიაზე შესვლა.

სხვათა აზრი

„იზვესტია“ 2004 წლის 23 სექტემბერი მაიკლ მაკფოლი. (შემოკლებით).

ИЗВЕСТИЯ ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

„პუტინისადმი კეთილგანწყობაში ბუში დღეს მარტოა“

ბოლო დროს ბუშის ადმინისტრაცია მოსკოვს სხვადასხვაგვარ სიგნალებს უგზავნის. აშშ-ს პრეზიდენტი ხან მთლიანად უჭერს მხარს ვლადიმერ პუტინის კურსს და იმასაც კი აცხადებს, რომ აღტაცებულია მისით, ხან კი მკვახედ აფრთხილებს: ამერიკა არ მოითმენსო რუსეთში დემოკრატიის შეკვეცას. იმის შესახებ თუ როგორია სინამდვილეში ვაშინგტონის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, გვიამბობს რუსეთის საკითხების ერთ-ერთი წამყვანი ამერიკელი ექსპერტი, სტენფორდის უნივერსიტეტის პოლიტიკურ დისციპლინათა მასწავლებელი მაიკლ მაკფოლი. მას ესაუბრება „იზვესტიას“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი ევგენი ბაი.

— ახლახან პრეზიდენტმა ბუშმა, რომელიც რუსეთის საელჩოს ეწვია, მთლიანად დაუჭირა მხარი პრეზიდენტ პუტინის კურსს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბუშისთვის რუსეთი პარტნიორი და მოკავშირეა ამ ბრძოლაში. მაგრამ მართლა მზად არიან ამერიკელები მხარი დაუჭირონ რუსეთის პრევენციულ დარტყმებს ტერორისტთა ბაზებზე უცხოეთში?

— რა თქმა უნდა, მოსკოვის ამგვარი აქციები ამერიკის ხელმძღვანელობისთვის კოშმარულ სიზმრად იქცევა. მაგრამ ბუში იმას მაინც ვერ აუკრძალავს პუტინს, რომ მან ამგვარი მუქარის განცხადებები გააკეთოს. საბოლოო ანგარიშით ერაყის ომიც აშშ-ს მასშტაბურ პრევენციულ აქციად იქცა. ეს საომარი კამპანია ხომ არაფრით არ არის დაკავშირებული „ალ-ქაიდას“ წინააღმდეგ რეალურ ბრძოლასთან, ის არ წარმოადგენს პასუხს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებზე.

— თითქმის არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ თუ რუსეთი მაინც განახორციელებს რაიმე პრევენციულ დარტყმას, მიზანი საქართველოს პანკისის ხეობა იქნება, სადაც შეიძლება იმყოფებოდნენ ჩეჩენი ბოევიკები. დაუჭერს თუ არა ამერიკის ხელმძღვანელობა მხარს ამ აქციას?

— არა, რა თქმა უნდა, არასდროს არ დაუჭერს მხარს. ადმინისტრაციის მრავალი მაღალი თანამდებობის პირი სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ ჩეჩენი ბოევიკები, რომლებთან გამკლავებაც პრეზიდენტ სააკაშვილს არ ძალუძს. მაგრამ სავსებით ცხადია: ის ბანდიტები, რომლებმაც ბესლანში სკოლა იგდეს ხელთ, არანაირად არ არიან დაკავშირებულები საქართველოსთან. პუტინისთვის ადვილი არ იქნება მსოფლიოსთვის საქართველოში ბოევიკთა ბაზებზე დარტყმის აუცილებლობის ახსნა, მაშინ, როცა დამტკიცებულია, რომ ტერორისტებს — ყოველ შემთხვევაში, მათ უმრავლესობას — რუსეთული ფესვები აქვთ. ბუშისთვის კი ეს მეტად არასასიამოვნო „საჩუქარი“ იქნება არჩევნების წინ. მაშინ მისი მოწინააღმდეგე ჯონ კერი იტყვის: „ხედავთ, როგორი „მოკავშირე“ ჰყავს ჩვენს პრეზიდენტს!“. გარდა ამისა, ბუშმა ამომრჩეველთა განწყობილებაც უნდა გაითვალისწინოს. ისეთ საკვანძო შტატში, როგორიც ოჰაიოა, ბევრია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ჩასული ადამიანი. მათ რუსეთი იმპერიალისტურ სახელმწიფოდ მიაჩნიათ. ხოლო თუ იგი სხვა ქვეყნების ტერიტორიების დაბომბვას დაიწყებს, ბუში, უბრალოდ, ვერ შეძლებს აგრესორ პუტინისადმი თავისი კეთილი განწყობის ახსნას.

— ამრიგად, პუტინს სოლიდარობას რომ უცხადებს, აშშ-ს პრეზიდენტი წინასაარჩევნოდ სერიოზულად რისკავს?

— მე ვფიქრობ, რომ ბუშმა არ იცის რა უნდა გააკეთოს, თუკი პუტინი მართლა აიშვებს. შესაძლოა, მან კვლავაც განაცხადოს, რომ რუსეთი ამერიკის მეგობარია და რომ საჭიროა პუტინის მხარდაჭერა, რომელმაც უკეთესად იცის, როგორ ებრძოლოს ტერორიზმს, მათ შორის, ჩეჩნეთში, მაგრამ ამ პოზიციას ადმინისტრაციაში ყველა როდი იზიარებს. არა მგონია, პენტაგონმა მოითმინოს, თუ რუსეთი დაბომბავს საქართველოს ტერიტორიას, სადაც, სხვათა შორის, ამერიკელი სამხედროები იმყოფებიან. მკვეთრი განცხადებით გამოვა ასევე სახელმწიფო დეპარტამენტი.

მოამზადა
სიმონ კილაძემ.

კომპეტენტური აზრი

რუსეთს „ვარდების რევოლუციის“ ეშინია



ამბობს ეროვნული თანხმობის კავშირის პოლიტსაბჭოს წევრი, გაზეთ „ეროვნული თანხმობის“ მთავარი კონსულტანტი მურმან ზაქარაია

– რუსეთ-საქართველოს გამწვავებული ურთიერთობის ფონზე როგორ გესახებათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნება?

– დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციასთან მიმართებაში, თქვენი ეს ლოგიკური კითხვა ბადებს ორ კონტრკითხვას: ერთი, – ყოფილა კი ოდესმე ეს ურთიერთობანი ნორმალური, თანასწორი, ორმხრივ-პარტნიორული? და მეორე, – არის კი დღეს დედამიწაზე ადამიანი, ვისაც ძალუძს სრულყოფილი პასუხი გასცეს იმას, თუ როგორ შეიძლება ჩვენი სისხლხორციელი, ნათესაური ურთიერთობის შესაფერისად, რუსების მიერ გაფუჭებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დალაგება?

ვფიქრობ, ამ კითხვებზე სრულყოფილი პასუხი არ არსებობს და აი, რატომ:

რუსულ-ქართული ურთიერთობა იმთავითვე, ისტორიულად ეჭვებზე აეწყო. ურთიერთუნდობლობას დასახული მიზნის არაადეკვატურობა განაპირობებდა. პირველი ცდილობდა თავისი დიდმპყრობელური მიზნის განხორციელებას, საქართველოსა და მთელი კავკასიის ხელში ჩაგდებას და გარუსებას, მეორე კი – ერთმორწმუნე დიდ ქვეყანასთან ურთიერთობით მაჰმადიანური სამყაროსგან თავის დაცვას და საკუთარი სუვერენიტეტის შენარჩუნებას. შედეგად რუსულ-ქართული ურთიერთობის მიზანდასახულობის სრული შეუსაბამობა მივიღეთ.

ძალზე განსხვავებული კულტურის ორ გეოპოლიტიკურ ერთეულს შორის ურთიერთობა არ შეიძლება ნორმალური იყოს. კიდევ ბევრი შეუსაბამობის დამოწმება შეიძლება, მაგრამ, მგონი, ესეც კმარა იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ: რუსულ-ქართული, შესაბამისად, კავკასიური ურთიერთობა იმთავითვე იყო ნაძალადევი, აგებული ილუზიებზე. მხოლოდ მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგია და გადარჩენის ინსტინქტი უბიძგებდა საქართველოს ამ შეუსაბამო კავშირისკენ.

მას შემდეგ, რაც ეს იძულებითი კავშირი დამყარდა, ქართული მხარე კეთილსინდისიერად ცდილობდა არსებული რეალობის გათვალისწინებას და ნორმალური პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას. აი, ეს იყო ილუზია. რუსეთს არც ქართველთა 1600-წლოვანი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური წარსული ხიბლავდა და არც მისი დასაბამისმიერი კულტურა. მას ხიბლავდა კავკასია და თბილი ზღვები, უმოკლესი გზა ინდოეთის ოკეანისკენ.

რაც უფრო მეტი დრო გადის, ეს ურთიერთობანი მით უფრო შეუთავსებადი ხდება. ამას ამტკიცებს როგორც წარსული, ასევე დღევანდელობაც. ამიტომ, განვითარების დიალექტიკა ძველი კავშირების ძირეული შეცვლის აუცილებლობის წინაშე გვაყენებს, რათა შესაძლებელი გახდეს მსოფლიოს თანამედროვე მოწყობის შესაბამის, დემოკრატიულ საწყისებზე აგებული პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება, რაც გადაწყვეტს ამ ორი საუკუნის განმავლობაში დაგროვილ პრობლემებს. ეს რთული გზაა, მაგრამ არა დაუძლეველი. პრობლემის არასრულფასოვნად, სანახევროდ გადაწყვეტა არც ერთ მხარეს არ არგებს და ეს კარგად უნდა შეიგნოს რუსეთმა. მსგავსი რამის გაგება მას ძალიან უჭირს. არადა, თუ ოდნავ მაინც ჩაიხედავს ჩვენი ურთიერთობის წარსულში, დაინახავს, რომ ყველა უბედურება მისგან იღებს სათავეს და ტყუილად გვაყვედრის უმადურობას.

ახალი რუსებიც აყენებენ საკითხს „უმადურობის“ შესახებ, თუმცა უფრო მკვეთრად, უფრო უვიცად, უფრო უსინდისოდ და გონების მთელი სიჩლუნგით. მათი ასეთი დამოკიდებულება პოლიტიკური მომენტით არაა განპირობებული, ესაა, მათი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, რუსული იდეის შედეგი. ამიტომ ვამბობთ: აუცილებელია ძალადობაზე აგებული ძველი კავშირების სრული წყვეტა და ახალი, თანამედროვეობასთან შესაბამისი ურთიერთობის აგება. ეს უნდა გაგვიგოს დასავლეთმაც, თორემ ის უფრო დაზარალდება, ვიდრე ჩვენ. ვფიქრობთ, ამ გზას ადგას დღევანდელი ხელისუფლება.

სწორედ ამ ახალმა პარტნიორულმა ურთიერთობამ უნდა შეცვალოს ძველი – უფროსი ძმის „ვოტჩინური“ დამოკიდებულება, რაც შესაძლებელს გახდის ჩვენში არსებული კონფლიქტების დარეგულირებას.

ზემოთ ვთქვი და ვიმეორებ, რომ დღეს საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების მზა რეცეპტი არ არსებობს. არის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხთა მთელი კომპლექსი, რომელთა სწორად გადაწყვეტა ამ პრობლემას ახალი სისხლისღვრის გარეშე მოაწესრიგებს. მთავარია, გაიგოს რუსეთმა, რომ ის ვერაგული, ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენთან მიმართებაში იყენებს (და არა მარტო ჩვენთან), მასვე დაღუპავს.

რაც შეეხება კონფლიქტების მოგვარებას, დღეს ერთის თქმა შეიძლება დანამდვილებით: დროის გაჭიანურებისა და პრობლემათა მიჩქმალვის ადრეული პოლიტიკა დამღუპველია. ქართულ-აფხაზური ურთიერთობა ისტორიულად ისე არის აგებული, რომ მას, რაგინდ მწვავეც უნდა იყოს კონფლიქტი, ყველაზე უფრო გაგებით თავად ქართველები და აფხაზები ეკიდებიან. გარეშე ძალის როლის გამორიცხვის, თუნდაც მისი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის შემთხვევაში, კონფლიქტის მოგვარება გაიოლდება. აქ დროის უზომოდ გაყვანა კი არ აშუშებს ჭრილობას, არამედ იწვევს ურთიერთგაუცხოებას, ისტორიულ-ნათესაური კავშირების გადაგვარებასა და სრულ წყვეტას. ამიტომაც წარმართა ეს კონფლიქტი რუსეთმა დროის გაჭიანურების გზით.

პრობლემა, რომელსაც თქვენ უწოდებთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სინამდვილეში არის, საყოველთაოდ აღიარებულ ტერიტორიულ საზღვრებში, საქართველოს კონსტიტუციის, კანონიერების ამოქმედება, მისი განხორციელება, ზოგადად – კანონიერების დამკვიდრება. ჩვენი აზრით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სრულფასოვნად გაკონტროლდეს ეს საყოველთაოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვრები, უპირველეს ყოვლისა – რუსეთთან.

რამდენადაც დღეს სამაჩაბლოს მოვლენები ყველაზე აქტუალურია, უნდა აღვნიშნო, რომ ხელისუფლების პოლიტიკა ამ მიმართებით სტრატეგიულად სწორია. მთელი ყურადღება კონცენტრირებული უნდა იყოს დღევანდელ პრობლემებზე, მათ შორის რუსეთიდან შიდა ქართლში და მთელ საქართველოში კონტრაბანდის შემოდინებაზე, იარაღით უკანონო ვაჭრობაზე, მოხალისეების იარლიყსამოფარებული ე. წ. კაზაკების – რუსი ტერორისტების შემოსვლაზე და ა. შ. ჩეჩნეთის მხარეს მებრძოლი სხვადასხვა ეროვნებისა და ქვეყნების წარმომადგენლებიც მოხალისეებად მიდიან იქ, მაგრამ მათ ტერორისტებს უწოდებენ. რუსი მოხალისეები არც კი მალავენ, რომ მათ გასამრჯელოს უხდიან.

ის. მე-4 გვ.

გადაძახილი

რა მიაწერა ნანა კალანდიამ პომადით თავისი ბაბუის ბინის კარს

კაცობრიობამ დიდი ხანია შეიცნო და შეისისხლხორცა, რომ სიყვარული ყველაზე ლამაზი, სათნო და მძლავრი იარაღია ადამიანთა შორის და, თქვენ წარმოიდგინეთ, სახელმწიფოთა შორისაც ურთიერთობისათვის.

... და, როცა ამას ივიწყებენ ადამიანები, სახელმწიფოები და მათი ლიდერები, შავი ღრუბლები მაშინვე იქუფრება მათ თავზე, მიწაზე კი ცრემლი და სისხლი ზეიმობს.

უსიყვარულოდ, როგორც სიცოცხლე,
ალბათ სიკვდილიც ისე ძნელია,
უსიყვარულოდ, კარგად იცოდეთ,
არცა ტირიან და არც მღერიან.

ავტორი.

დედამიწის ზურგზე აფხაზს არსად არ ჰყავს იმდენი ახლობელი, თავისი თანამოსისხლე, თანამოყვარე და თანამოგვარეც კი, როგორც ქართველთა შორის.

ჩვენ, აფხაზმაც და ქართველმაც, ეს დავივიწყეთ და, როცა ეს დავივიწყეთ, სწორედ მაშინ დაიწყო ჩვენი უბედურება. და ჩვენ ეს დავივიწყეთ ჩვენივე მტრების წყალობით.

ამ სავალალო გულმავიწყობის გამო ბევრმა აფხაზმა თუ ქართველმა დედამ ჩაიცვა შავი, ბევრი ქართველისა თუ აფხაზის საფლავი გაითხარა და ბევრი, ძალიან ბევრი ქართველი დედა დადის დღეს დაღუპულ შვილთა სურათებითა და შავი ძაძებით დამძიმებული.

300 ათასმა ქართველმა დატოვა აფხაზეთში თავისი ბინა, თავისი სახლი, ეზო-შემოგარენი, თავისი თოხი, ნამგალი და ცელი, თავისი ბავშვობა და სიყრმე და ვინმეს აძლევს ხელს თუ არა, სურს თუ არა, ჩვენ ის ეზო-კარი, ის ბავშვობა თუ ის ყრმობა ისევ აფხაზეთისაკენ გვეწევა და გვეძახის.

ჩვენ, ყველანი, ქართველიც და აფხაზიც, კარგად ვხედავთ, ომმა და სისხლისღვრამ რაც დაგვმართა, რაც მოგვიტანა და ამიტომაც გულწრფელად ვეთანხმები, როცა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ასე ალალად და გულღიად ლაპარაკობს: **„... აუცილებელია დიალოგი აფხაზ ხალხთან, ხიდების გადება, – ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს. ჩვენ აფხაზეთში სიყვარულით დავბრუნდებით, აფხაზთან დასამეგობრებლად და დასამოყვრებლად, თუმცაღა ბევრი მათგანი არის კიდეც ჩვენი მეგობარი და მოყვარე.**

... და მაშინ ვეღარავინ შეძლებს ჩვენს დაშორებას“...

დიახ, ყველა ქართველისა თუ აფხაზის სათქმელს ამბობს პრეზიდენტი. ღმერთმა ხომ იცის, რომ საქართველო სიყვარულის ქვეყანაა, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ვეფხისა და მოყმის“ სტრიქონებზე აღზრდილი და ნასაზრდოები.

საქართველო სწორედ ის ქვეყანაა, სადაც რევოლუციაც კი ვარდებით ხდება. მაგრამ არც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიტყვები დაგვავიწყდეს, როცა მტერს სთავაზობდა, თქვენ თუნდაც ტყვია გამომიგზავნოთ, მე მაინც ვარდს გესვრითო.

... და მას ვარდის წილ მართლაც ტყვია უწილადეს.

... და მე ამ შემთხვევაში ცინიზმად მეჩვენება, აფხაზეთის ომის დროს აფხაზეთის ე. წ. უშიშროების სამინისტროს მუშაკის, რუსეთის კგბ-ს ლაბირინთებში გამოხარშულის, ამჟამად აფხაზეთის ე. წ. პრეზიდენტობის კანდიდატის, პუტინის ხელდასხმული რაულ ხაჯიმბას სიტყვები: **„სიმართლე გითხრათ, მენანება კიდეც ის მილიონობით დოლარი, რომელსაც საქართველო თავისი ბატალიონების მოსამზადებლად ხარჯავს. ეს თანხები მას საკუთარი ეკონომიკის აღმავლობისათვის გამოადგებოდა“.**

... ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო.

და ამას ამბობს აფხაზეთის ე. წ. პრემიერ-მინისტრი, რომლის „რესპუბლიკა“ ქართველების აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ ტყე-ღრედ, შამბნარად და გვიმნარად ქცეულა, სადაც, გაუვალი ეკალ-ბარდების გამო, სასაფლაოზე, საკუთარი მშობლების საფლავთან არ მიესვლებათ ადამიანებს.

ამას ამბობს ის პირი, რომელიც არ თაკილობს წარმოთქვას სიტყვები: **„აფხაზების მიერ ქართველების ეთნიკური წმენდა გამართლებული და შეუქცევადი იყოო“...**

... და განა ასეთი არაადამიანური ადამიანების გარემოცვაში შეიძლება მხოლოდ ვარდების იმედით ვიყოთ?!

უბედურებამ, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთის პატარა ქალაქ ბესლანში დატრიალდა, არ შეიძლება არ შეძრას ქართველი კაცის გული... ასობით დაღუპული ბავშვი, პედაგოგი, მშობელი – მართლაცდა ღვთის რისხვად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ განა ღვთის წყალობად შეიძლება ჩაითვალოს ჩეჩნეთში რუსეთის მიერ წამოწყებული ომის შედეგად დაღუპული 42 ათასი ბავშვი?!

არის გასაოცრად სულის შემძვრელი შვილმკვდარი ქართველი დედის გამონათქვამი, – ვისაც შვილი არ მოკვდენია, ის ჩემთან სამძიმარზე ნუ მოვაო, ან კიდევ არცთუ ნაკლებად ტრაგიკული გამონათქვამი, – იქ, სადაც და თავისი ძმის უბედურებას გაიგებს, ბალახი არ ამოდისო.

ბედნიერი ერი ასეთ ტრაგიკულ სიტყვებს ვერ წარმოთქვამდა და კიდევაც რომ წარმოეთქვა, მეხსიერება არ შემოინახავდა.

დიახ, ჩვენ, ქართველები, უბედური ერი, უბედური ხალხი ვიყავით თუნდაც იმიტომ, რომ გარშემო ფინთი მეზობლები გვეხვია.

... და მაინც კეთილი ნების ქართველი წარმოთქვამს, – შორეულ ნათესავს ახლობელი მტერი გერჩიოს, ხანძარი რომ გაგიჩნდეს, წყალს მაინც მოგაწვდისო.

ნურას უკაცრავად, ჩვენს თავზე დატრიალებულმა ისტორიულმა ქარტეხილებმა დაამტკიცეს, რომ არაერთი მეზობელი საქართველოსი წყლის ნაცვლად ნავთს ასხამდა ჩვენს კოცონზე. ის კი არა, ხანძარი და უბედურება, რომელიც მათ ტერიტორიაზე მათივე ბრალით გიზგიზებდა, ჩვენსკენ უნდოდათ გადმოესროლათ.

ის. მე-4 გვ.

ინფორმაცია

ენერგეტიკა

„თბილგაზის“ გაყიდვაზე ჯერ არ ლაპარაკობენ

ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები საქართველოს ეკონომიკის მინისტრს კახა ბენდუქიძესა და რუსული გაზგამანაწილებელი კომპანიის „გაზპრომის“ წარმომადგენლებს შორის. საუბარს „თბილგაზის“ ხელმძღვანელი დავით მორჩილაძეც ესწრებოდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ „გაზპრომის“ წარმომადგენლებმა ჟურნალისტებთან კომენტარი არ გააკეთეს. დავით მორჩილაძემ კი ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საუბარი იყო „გაზპრომსა“ და ქართულ მხარეს შორის ურთიერთობებსა და გამოცდილების გაზიარებაზე, ხოლო „თბილგაზის“ პრივატიზაციის თემას ამ შეხვედრაზე არ შეხებიან.

ბაზარი

„დეზერტირები“ არ დაიკეტება

თბილისის ცენტრალურ სუპერმარკეტს, ე. წ. „დეზერტირების ბაზარს“ დროებითი დახურვის და, მით უფრო, გაყიდვის საფრთხე ემუქრება, როგორც ამას აქ მოვაჭრეთა საპროტესტო აქციის მონაწილენი შიშობდნენ. ამის თაობაზე სპეციალური განცხადება გუშინ საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა გააკეთა.

ბეგაშვილის თქმით, თბილისელებს 1 ოქტომბრისთვის სრულიად განახლებული ბაზარი დახვდებათ, თუმცა ბაზრის კეთილმოწყობითი სამუშაოები მოვაჭრეთა საქმიანობის შეუფერხებლად, მხოლოდ ღამის საათებში წარიმართება.

დაახლოებით 10 ღამის განმავლობაში „დეზერტირების ბაზრის“ ტერიტორიაზე სარემონტო სამუშაოები ჩატარდება. ბაზრის პირველ სართულზე შეკეთდება საფარი, მოწესრიგდება ბაზრის ჰიგიენურ-სანიტარიული პირობები, დამონტაჟდება ვენტილაციის სისტემა და რაც ყველაზე მთავარია, მოეწყობა ახალი ლაბორატორია, რომლისთვისაც ტექნიკა, ბეგაშვილის თქმით, ბაზრის ადმინისტრაციამ პეტერბურგში უკვე შეიძინა.

სტატისტიკა

აღწერის შედეგებს ერთ წელიწადში გვეტყვიან

სწორი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემუშავებისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოსაპოვებლად, 25 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე საქართველოში სასოფლო-სამეურნეო აღწერა ჩატარდება.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარემ თემურ ბერიძემ განაცხადა, აღწერა 60 რაიონის 920-მდე საკრებულოს მოიცავს. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარება კოდორის ხეობაშიც.

მომავალი წლის აპრილში აღწერის მეორე ეტაპი უკვე რაიონის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარდება.

ინტერ-პრესი.

ინფორმაცია

სოციალური დახმარების პროგრამა გრძელდება

თბილისის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახური ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და პირველი ჯგუფის ინვალიდთა სოციალური დახმარების პროგრამის განხორციელებას აგრძელებს.

როგორც ინტერ-პრესს ჯანდაცვის საქალაქო სამსახურში განუცხადეს, პროგრამის ფარგლებში 1186 ოჯახი 100-100 ლარის ოდენობის ფულად დახმარებას კვლავ მიიღებს. გარდა ამისა, აღნიშნული კატეგორიის პირთა ოჯახები სხვადასხვა სახის სოციალური და სამედიცინო შეღავათებით სარგებლობენ.

მერია ამავე კატეგორიების ოჯახებისთვის საკუთარ თავზე იღებს საოჯახო ნარჩენების გატანის და სასმელი წყლის გადასახადის ხარჯებს. აღნიშნული ოჯახები ყოველთვიურად უფასოდ მოიხმარენ 40 კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს, ზამთრის სეზონზე კი, მათ ასევე უფასოდ მიეწოდებათ 250, ხოლო ზაფხულის სეზონზე 150 კვტ.სთ ელექტროენერგია.

იგი წავა და სხვა მოვა

თბილისის მთავრობის მიერ წარდგენილ საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელების კანდიდატურებს გუშინ მერიის შენობაში შეკრებილი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები გაეცნენ, მათ შორის ძირითადად ახალგაზრდულ ორგანიზაციათა წევრები ჭარბობენ.

შეხვედრაზე საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელების პოსტებზე წარდგენილმა კანდიდატებმა და მათთან ერთად, თბილისის ვიცე-პრემიერობის კანდიდატმა საკუთარ გეგმებსა და გამოცდილებაზე ისაუბრეს. შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული პირები თანამდებობებზე გამოსაცდელი ვადით დაინიშნონ.

დღეს არასამთავრობოების მსგავსად, ამავე მიზნით თბილისის მერიაში ქალაქის საპატიო მოქალაქეები მივლენ.

ინტერ-პრესი.

ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

14. აქ, სადღაც უფლის კალთაა – მზისკენ მზირალი სხალთაა...

მართლაც რომ, დალოცვილია ეს კუთხე – მიდიხარ, მიდიხარ, ფეხდაფეხ მოგდევენ ხეობები, მთები და სოფლები. თითქოს ჰგვანან და არც ჰგვანან ერთმანეთს. „სულ სხვა ხეობა, სხვა მთაა, აქ, სადღაც, უფლის კალთაა – მზისკენ მზირალი სხალთაა“. მე არ ვიცი, ასე სრულყოფილად სხვა რომელი საკულტო ძეგლია შემონახული აჭარის მთიანეთში. არადა, სხალთის ტაძარს, სულ ცოტა, შვიდასი-რვაასი წლის სიმძიმე აწევს. და მაინც ამაყად დგას, იმედით გაჰყურებს შორეთს, თურქთა ბატონობის „დიდმა ღამემაც“ ვერაფერი დააკლო. ხმაურით მიედინება მდინარე სხალთისწყალი. ამ ხმაურშიც არის რაღაც სიმბოლური. გავიხსენოთ დიდი ილია: „მოძრაობა და მოძრაობა, ჩემო თერგო, ეგ არის ქვეყნისათვის ძალისა და ძლიერების მიმცემი“. და თუ ეს პატარა მდინარე ამ კუთხეს აფხიზლებს, ძალასა და ენერგიას მატებს, იდინოს!..

არ ვიცი, რამდენ ხანს გვატარა ალი ცეცხლაძის „მერანმა“, რამდენი მისახვევ-მოსახვევი გავიარეთ და რამდენი კორტოხი მოვიტოვეთ უკან. სადღაც შევჩერდით, კლდიდან გადმომსკდარი ბინული ვიგემეთ, სადღაც ეთერ დეკანაძის თვალმა ხის ტანზე მიწებებული უზარმაზარი სოკო შენიშნა და ალის სთხოვა, უკან რომ დავბრუნდებით, შევჩერდეთ, შინ უნდა წავიღოთო. ასეთი რამეებისა ცოტა მეც მესმით და ვიცი, ხელმარჯვე ოსტატი იმ სოკოსაგან უთუოდ თვალმახარა სუვენირს გამოაქანდაკებს.

სანამ ტაძრამდე მივიდოდეთ, ხიმშიაშვილების სასახლე უნდა გავიაროთ. სასახლე გაპარტახებული იყო, ვიდრე გულმოწყალე მზრუნველი და პატრონი არ გამოუჩნდა. 2002 წელს იგი აღუდგენიათ და სახლ-მუზეუმის გარდა შერიფ ხიმშიაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაც გაუხსნიათ. ამას გვიდასტურებს სათანადო წარწერა, რომელიც ქველმოქმედთა ვინაობასაც გვიმხელს. ესენი არიან ჩემს მიერ ერთხელ უკვე მოხსენიებული ბატონი თეიმურაზ კომახიძე და ქალბატონი ნარგიზა აბაშიძე.

ხიმშიაშვილების გვარმა არაერთი თავდადებული მამულიშვილი გაზარდა, მაგრამ მათგან, ალბათ, სელიმ (1755-1803) და შერიფი (1829-1892) ყველაზე გამორჩეულები არიან. ერთმაც ბევრი რამ გააკეთა მტრისგან მამულის გამოსახსნელად და მეორემაც. შერიფი პეტერბურგში აღესრულა 63 წლისა, დაკრძალულია თავის საზაფხულო აგარაკზე – ქობხაში. სელიმმა სულ 48 წელი „იკმარა“ და ხალხის ხსოვნაში ლეგენდად დარჩა. ხიხანს შეფარებული მოუხელთებელი მეამბოხე შინაგამცემთა დახმარებით მტერმა მაინც შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა. სული გაეყარა ხორცს, მაგრამ დარჩა უკვდავება – უკვდავება სამშობლოსათვის.

არ ვიცი, აქ გამოფენილი ნივთებიდან რომელია მემორიალური. მეუბნებიან, უზარმაზარი სარკე, უძველესი კიდობანი, ჭურჭელი, მადულარა და ფორტეპიანო ხიმშიაშვილების ნაქონიაო. საგანგებო ფოტოსტენდი ამ გვარის სახელოვან წარმომადგენლებზე მოგვითხრობს. სამწუხაროდ, ადგილზე არ დაგვხვდა „ვერცხლის წყალივით მოძრავი და მოუსვენარი“ იზოლდა სურმანიძე – აქაურობის დირექტორ-გამგებელი. ამ ეპითეტით იგი ეთერ დეკანაძემ შეამკო და, როგორც ცოტა მოგვიანებით დავრწმუნდი, არცთუ უსაფუძვლოდ.

ვესაუბრებით ბიბლიოთეკის გამგეს გულიკო ბერიძეს და თანამშრომელ ნადია სურმანიძეს. გული დამწყდა, რომ წინდახედულება ვერ გამოვიჩინე და თბილისიდან ორიოდე წიგნი არ წამოვიღე... ჟურნალში პატარა ჩანაწერს ვაკეთებთ და ტაძრისკენ მივდივართ. იქაც ჩვენს ინტუიციას უნდა ვენდოთ, ვინაიდან საგანგებო ექსკურსიამძღოლი არა გვყავს.

კუტიკარს ვაღებთ და დამრეცი ბილიკით სხალთისკენ ვეშვებით. იგი XII-XIII საუკუნის მიჯნაზე აუგიათ. ჯერ კიდევ შემორჩენილია უძველეს ფრესკათა ფრაგმენტები. ტაძარი მაინცდამაინც დიდი არ არის, არც ეზოა უკიდეგანო, მაგრამ წარმომიდგენია, აქ რომ მრევლი შეიყრებოდა...

საიდან მოდის სახელწოდება სხალთა? საქართველოში ხომ ყველა მეორე ისტორიული ძეგლი თამარ მეფის სახელს უკავშირდება! ჰოდა, სხალთა რაღა გამონაკლისია? აქ უზარმაზარი მსხალი იდგა. როცა თამარი ერთ-ერთ ლაშქრობაში მიდიოდა, თავისი სპა სწორედ იმ მსხლის ქვეშ შეუჩერებია და უბრძანებია, თუ გავიმარჯვებთ, ამ ადგილზე ტაძარი უნდა ავაშენოთო. მეფის სიტყვა კანონი იყო და... ტაძარი ააგეს. იმ მსხლის მოჭრა მტერმა მრავალჯერ სცადა, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს ნაჯახმა მაინც გააკეთა ავი საქმე – მსხალი მოჭრეს, აი, სხალთის ტაძარი კი, აგერ, რვა საუკუნეა, ფხიზლად დარაჯობს აქაურობას.

სად იყო და სად არა, ქალბატონი იზოლდა სურმანიძეც მობრძანდა. კი არ მოვიდა, ქარივით მოიჭრა – სტუმრები გვყოლია, ჩიტმა ამბავი მომიტანაო. მანამდე მორჩილი იუზა ტყეშელაშვილი დაგვყვებოდა კუთხიდან კუთხეში და რაც საინტერესო იყო, ყველაფერს გვიჩვენებდა. ურწმუნოთაგან ტაძარში შემოსვლას ვერავინ ბედავდა. ერთმა ხოჯამ ითავხედა, იძალა და საგანგებოდაც დაისაჯა – კედლიდან მოწყვეტილი ლოდი დაეცა და სული გააფრთხობინა. ამ ლოდს ტაძრის ერთ-ერთ კუთხეში ახლაც გიჩვენებენ.

სხალთის ზარი ყოველ საეკლესიო დღესასწაულზე აგუგუნდება ხოლმე. წირვა-ლოცვას აღავლენს მღვდელი მამა სერგი რუხაძე.

მორჩილმა იუზა ტყეშელაშვილმა დედაღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატთან მიგვიყვანა და გაგვანდო, აქ ხშირად მოდიან უშვილო ქალები და ხატს შემწეობას სთხოვენ. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს იმედი გასცრუებოდესო.

მერე საქმეში ჩაერთო ქალბატონი იზოლდა, რომელსაც ადრე აღმასკომის თავმჯდომარედ უმუშავია, ბოლო წლებში კი საკრებულოს ხელმძღვანელობდა. ბევრი კარგი საქმის მოთავე ყოფილა და, როცა თანამდებობიდან გადააყენეს, სოფლელებს დიდი უკმაყოფილება გამოუთქვამთ. მისი მოღვაწეობის ფრიად საჩინო დეტალია ის, რომ სწორედ მისი თავმჯდომარეობის ჟამს შეუკეთებიათ სხალთის ტაძარი.

– ერთი პატარა საიდუმლოებაც გვაქვს, – მეუბნება ქალბატონი იზოლდა. – წამობრძანდით, მარანი უნდა გიჩვენოთ...

მცირე აღმართი ავიარეთ და გავივაკეთ. საცალფეხო ბილიკით მივადექით კლდეში გამოკვეთილ კარს.

– აი, ეს არის მარანი, – ამბობს იზოლდა. – ზემოთ სამანქანე გზა გადადის. ვინ იცის, ვის არ გადაუვლგადმოუვლია, მაგრამ აზრადაც არავის მოსვლია, თუ იმ გზის ქვეშ რაიმე ნაგებობა იქნებოდა. ოთხმოციან წლებში ეკალ-ბარდი გავკაფეთ და ეს კარიც აღმოვაჩინეთ. ქვევრები მიწას ამოვესო.. გავასუფთავეთ, წიფლის მორი თანაბარ ზომებად დავჭერით და მაგიდებივით განვალაგეთ. ბევრ, ძალიან ბევრ სტუმარს ვუმასპინძლეთ. ზაფხულში გრილა, ზამთარში თბილა, უკეთეს ადგილს კაცი ვერ ინატრებს.

ვინ იცის, ეს პატარა მარანიც რამდენ საიდუმლოებას ინახავს!

– ძეგლთა დაცვის ფონდის სამი თანამშრომელი გურამ ჭეიშვილის ხელმძღვანელობით ორი წლის მანძილზე მუშაობდა სხალთის ტაძრის გამაგრებაზე, – ამასაც ქალბატონი იზოლდა მეუბნება.

მერე ისიც გაიხსენეს, იერუსალიმს მიმავალი შოთა რუსთაველი როგორ შეჩერდა სხალთას... ალბათ, გულმხურვალედ ილოცა და განგებას სამშობლოს კეთილდღეობა შესთხოვა.

ეს ფაქტი განსჯისთვის საკმაო მასალას იძლევა. არავინ იცის, როგორ, რატომ და რისთვის წავიდა უპირველესი მგოსანი უცხო მხარეს. რუსთაველზე ხომ თითქმის არაფერი ვიცით! საპატიო ამალა მიაცილებდა თუ როგორც ყარიბი მოგზაური სავაჭრო ქარავანს მიეკედლა? თუ ქართველი კაცის ბუნებას, თავისი მიწისადმი მიჯაჭვულობას გავითვალისწინებთ, დალხინებული რუსთაველი რატომ უნდა წასულიყო შორეულ იერუსალიმს? მით უმეტეს – ასაკოვანი და ჯანგატეხილი, რომელმაც, ალბათ, ჩინებულად უწყოდა, რომ ცოცხალი უკან ვეღარასოდეს მობრუნდებოდა... იქნებ, სულაც დაიღალა კაცი ერთან და ბერთან ბრძოლით და ამიტომ გარიდება ამჯობინა? სამწუხაროდ, ამ გამოცანის ამოხსნა დედამიწის ზურგზე ჯერჯერობით არავის ძალუძს...

„შარავანდი ადგა უფლის კალთას –
რუსთაველი შემობრძანდა სხალთას...
დანესტრილი წუთისოფლის – ფლიდის,
თავად ღმერთი – ღმერთის სახლში მიდის.
გზა შორია – მოფენილი სევდით,
განშორების ტკივილით და ელდით.
თან რა მიაქვს? მოშურნეთა ლიქნი,
უკვდავება – ვეფხის ტყავის წიგნი.
გულში სანთლად საქართველო ენთო,
„სადაურსა სად წაიყვან, ღმერთო...“
ბედის მჭედი ქსელს ცრემლიანს ხლართავს,
რუსთაველი ეთხოვება სხალთას“...

მდუმარებდნენ ირგვლივ შემოჯარული მთები.

ისევ რაღაცას ჰყვებოდა მდინარე სხალთისწყალი...

ელგუჯა ლეგანიძე,
„სრ“ სპეც. კორ.
თბილისი-ხულო-თბილისი.

სურათზე: სხალთის ტაძარი.

ბიძინა რიქვაძის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 222, პარასკევი, 24 სექტემბერი, 2004 წელი.

⊙ კომპეტენტური აზრი

რუსეთს „ვარდების რევოლუციის“ ეშინია

(მესამე გვერდიდან)

პრობლემისადმი ასეთმა მიდგომამ პირველ ეტაპზე უნდა მიგვიყვანოს როკის გვირაბისა და სხვა გასასვლელების ერთობლივ კონტროლამდე, რასაც აუცილებლად მოჰყვება დადებითი შედეგი.

დღევანდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ყველაზე რეალურად ჯერჯერობით ეს გზა ჩანს, მაგრამ ამას უნდა მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრის ერთსულოვნება და არა ძველებურად სირბილი და ჩაშვება. ასეთმა საქციელმა, თუნდაც ე. წ. პრაღის დეკლარაციამ რაც მოგვიტანა, ყველამ კარგად უნდა უწყოდეს. დღეს კონფლიქტის პრობლემების მიმართ პოზიციამ და ოპოზიციამ სრული ერთიანობა უნდა გამოხატოს, ისე, როგორც ეს მოხდა აშშ-ში 11 სექტემბრის შემდეგ. შედარებისთვის ნუ დაგვძრახავთ, ჩვენ ვალდებულნი ვართ ამ უმთავრესი პრობლემის ირგვლივ ერთსულოვანნი ვიყოთ, რამეთუ ნათლად ჩანს, რომ ახალი ხელისუფლების საქმიანობა გულწრფელი და პრინციპულია. ამიტომ მათთან თანამშრომლობაზე უარის თქმა მტერთან თანამშრომლობის ტოლფასია.

— როგორ აფასებთ საქართველოს საგარეო პოლიტიკას, რომელიც აშკარად პროდასავლურია? როგორ უნდა მოაწესრიგოს ჩვენმა სახელმწიფომ ურთიერთობა დასავლეთსა და რუსეთს შორის?

— ისტორიულად ქართული კულტურა ორიენტირებული იყო ბერძნულ-რომაულ, ბიზანტიურ კულტურაზე, რაც განსაზღვრავდა პოლიტიკურ ორიენტაციასაც. მთელ საქართველოში მიმობნეული ქრისტიანობამდელი თუ ქრისტიანული კულტურის ძეგლები თვალნათლივ ადასტურებენ, რომ ამ კულტურაში არაფერია ჩრდილოური. აქ ყველაფერი სამხრეთულია, დასავლურია. ასე რომ, ქართული კულტურის გენეზისი ხდებოდა და ხდება დასავლურთან ურთიერთობაში. ჩრდილოეთისკენ ჩვენი სვლაც იყო გზის ძიება დასავლეთისკენ, მაგრამ რუსეთმა ეს გზა თავისთვისაც და ჩვენთვისაც ჩაკეტა. ამ ურთიერთობით ჩვენ კულტურას თითქმის ვერაფერი შევმატეთ, პოლიტიკურად კი საკმაოდ დავჩიავდით, ამიტომაა, რომ არა მარტო დღევანდელობა, არამედ წარსულის გამოცდილებაც გვაიძულებს გავაკეთოთ „რეზკი კრენ“-ი დასავლეთისკენ.

ედუარდ შევარდნაძის ორმაგმა თამაშმა სანამდეც მიგვიყვანა, ახსნას არ უნდა საჭიროებდეს. მისი უპრინციპო პოლიტიკის შედეგია, რომ ამ ეტაპზე რუსეთი არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში თავის პოლიტიკურ ინტერესებზე ლაპარაკობს, არამედ აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობას თავის მოქალაქეებად წარმოგვიდგენს. სათანადოდ, ახლა უკვე საუბარია არა გეოპოლიტიკურ ინტერესებზე, არამედ რუსეთის მოქალაქეთა ინტერესების დაცვაზე.

გამოსავალი ერთია — მიზანმიმართული პოლიტიკური პრინციპულობა. ჩვენი დღევანდელი ვითარება გამორიცხავს ყოველგვარ ორმაგ პოლიტიკურ თამაშს, ორმაგ სტანდარტს. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ალალი, პატიოსანი, გულწრფელი პოლიტიკა. ვიცი, იტყვიან, ასეთი რამ არ არსებობსო. ნუ დაუჯერებთ, არსებობდა, არსებობს და იარსებებს ასეთი მიდგომა. რომც მოვინდომოთ, ჩვენი დღევანდელი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ვერავის მოვატყუებთ, პირიქით, მოტყუებულნი თვითონვე დავრჩებით ისე, როგორც არაერთხელ მომხდარა ამ ბოლო ათწლეულში. სამაგიეროდ, პატიოსანი და პრინციპული მიდგომის შემთხვევაში, ჩვენ შევძლებთ აღვიდგინოთ აგრერიგად შელახული ღირსება, ისტორიულად რომ მოგვდგამდა და მთელი მაშრიყი და მაღრიბი რომ აღიარებდა.

— რა შედეგი მოჰყვება რუსეთთან პოლიტიკური ვითარების კიდევ უფრო მეტად დაძაბვას?

— ყველა „ბრალდება“, რომელსაც რუსეთი ასე ცინიკურად, აგრესიულად, უცერემონიოდ წამოგვიყენებს ხოლმე, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. აგრესიულობა რუსული იდეის მთავარი კომპონენტია და მას მედგრად უნდა დავუხვდეთ. ამიტომ, შეიძლება ითქვას, მასთან პოლიტიკური ურთიერთობის „ტემპერატურას“ ჩვენ კი არ განვსაზღვრავთ, რამდენადაც თვითონ რუსეთი.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ურთიერთობის განმსაზღვრელია არა იმდენად კონფლიქტები და მასთან დაკავშირებული პრობლემები, არამედ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები და რუსეთში ჩიხში შესული დემოკრატიული გარდაქმნები. ამას აღიარებენ რუსი პოლიტოლოგები თუ სახელმწიფო მოღვაწეები.

როგორც ასტანის სამიტის კომენტირებისას გაიჟღერა, რუსეთს ყველაზე მეტად არ მოსწონს საქართველოს „მეტი დემოკრატიულობა“. მას ხომ ჭირივით ეზარება დემოკრატია. რუსეთს დემოკრატიის პირობებში არსებობა არ ძალუძს. ტერაქტთა წყება და ბესლანის ტრაგედია საბაბია ტოტალიტარიზმის დამკვიდრებისა. თვითონ რუსი პოლიტოლოგებიც კი აღიარებენ, რომ ამ ხალხს არავითარი რადიკალური დემოკრატიული გარდაქმნები არ სჭირდება. „იაბლოკოს“ ლიდერი იავლინსკი წერს: „ტერაქტების წყება ხელისუფლებამ გამოიყენა ე. წ. „ძალაუფლების ვერტიკალის“ განმტკიცებისთვის“. ასეთია ჩვენი მეზობლის პოლიტიკური ზნეობა. მან ისეთი საშინელი მოვლენა, როგორიც ბესლანის ტერაქტი იყო, პოლიტიკური სპეკულაციის საგნად აქცია. სინამდვილეში, რუსეთში ხელისუფლებამ განახორციელა სახელმწიფო გადატრიალება. ის აქეთკენ შეგნებულად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა. დარწმუნებული ვარ, ყოველივე ამას დასავლეთის სათანადო რეაქცია მოჰყვება.

— ეროვნული თანხმობის მნიშვნელობა ბევრმა კარგად არ იცის და ეს მხოლოდ წინა ხელისუფლების მიერ განაწყენებული ადამიანების შემორიგება ჰგონია. თქვენი აზრით, რას გულისხმობს ეროვნული თანხმობა და რამდენად მნიშვნელოვანია იგი საქართველოსთვის?

— ალბათ დამეთანხმებით, წარმატებული საგარეო პოლიტიკა დამოკიდებულია შიდა ეროვნულ სტაბილურობაზე. ამ სტაბილურობისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული თანხმობის პროცესის გაღრმავებას. სამწუხაროდ, ამ პრობლემისადმი ცალმხრივი დამოკიდებულება შეიმჩნევა არა მარტო მასაში, არამედ სახელმწიფოებრივ დონეზეც. თვით მთელი ჩვენი ისტორიული წარსული გვიჩვენებს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის სრულფასოვანი არსებობა დამოკიდებულია ეროვნულ თანხმობაზე, იმაზე, თუ როგორ უნდა ვაშენოთ ახალი დემოკრატიული სახელმწიფო სისტემა და საზოგადოებრივი ურთიერთობა. ეროვნული თანხმობის პროცესის საგანია საზოგადოებაში არსებული თუ შესაძლებელი დიდი თუ პატარა კონფლიქტური სიტუაციების პროგნოზირება, მათი პროფილაქტიკა, კონსენსუსის გზით არსებულის აღმოფხვრა და ა. შ. ახლად მშენებარე დემოკრატიულ სახელმწიფოში ასეთი პროცესები მრავლადაა. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი არის დასაწყისი იმ გზისა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს სრულ საზოგადოებრივ თანხმობამდე. ჩემი აზრით, ჩვენ ძალზე დავაგვიანეთ ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე, ფართომასშტაბიანი ეროვნული თანხმობის მემორანდუმის მიღება, რაც შესაძლებელს გახდიდა არა მარტო სახელმწიფო გადატრიალების შედეგად საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობათა ნიველირებას და ურთიერთობათა ნორმალიზებას, არამედ თვალნათელს გახდიდა იმ „მეხუთე კოლონის“ საქმიანობას, რომელიც სულ უფრო ააქტიურებს თავის ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას.

ჩემი შეხედულებით, ჩვენ აუცილებლად მივალთ საყოველთაო თანხმობის დეკლარაციამდე. ის უნდა გახდეს საფუძველი და განმსაზღვრელი ისეთი კონსტიტუციური ნორმებისა, როგორიცაა ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა, ეროვნულ უმცირესობებთან დამოკიდებულება, სარწმუნოებრივ-რელიგიური ურთიერთობა, ისტორიულად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისადმი მიდგომა და ა. შ. ამიტომ ამ მიმართულებით მეტი მუშაობაა საჭირო. აუცილებელია ეროვნული თანხმობის პროცესის მეტი პროპაგანდა როგორც პრესის, ასევე რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით; ალბათ საჭიროა საამისო საზოგადოებრივი კვლევის ცენტრის შექმნაც.

— წინა ხელისუფლების მიერ ე. წ. ტერორისტებად მონათლული პატიმრები ჯერ ისევ ციხეებში იმყოფებიან. ვინ არიან ისინი და მათ ბედზე ვინ იზრუნებს?

— რაც შეეხებათ იმ სამხედრო ტყვეებს, რომლებიც შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის დღემდე საპატიმროებში იხდიან სასჯელს, მეტი თუ არა, გაუგებრობად მაინც უნდა ჩაითვალოს. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით ახალმა ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ რა დააშავა იმ ხალხმა, ვინც „ვარდების რევოლუციამდე“ დიდი ხნით ადრე ხედავდა რეჟიმის სიდამპლეს, გამყიდველობას, სისასტიკეს და თავს წირავდა ქვეყნის გადარჩენისათვის? ძალადობრივი, გამყიდველური ხელისუფლების რევოლუციური გზით მოშორების შემდეგაც ისინი ციხეებში რატომ უნდა იტანჯებოდნენ, გაუგებარია.

ჩემი შეხედულებით, მათი პატიმრობაში დატოვება არც ზნეობრივად და არც პოლიტიკურადაა გამართლებული. არ ეკადრება რევოლუციურ ხელისუფლებას ციხეებში გამოკეტილი ჰყავდეს ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი პატრიოტები. ამ საკითხის ირგვლივ ამჟამად მეტს ვერაფერს ვიტყვი, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. მჯერა, ახლო მომავალში ეს ხარვეზი გამოსწორდება.

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი.

⊙ ახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები

გალაკტიონი — სანდრო მრევლიშვილის „საჯილდაო ქვა“

წლევანდელი ზაფხულის ხვატში „ალექსანდრეს ბაღში“ ერთი სიმპათიური შუახნის კაცი გავიცანი — ბეგლარ ნოზაძე. აი, ამ თეატრის ადმინისტრატორი ვარო, მითხრა.

„ალექსანდრეს ბაღის“ ქვედა მხარეს, როგორც ქართული თეატრის მოყვარულებმა იციან, შარშან, მოუსვენარმა, სულ ახლის მაძიებელმა რეჟისორმა სანდრო მრევლიშვილმა თავისუფალი კუთხე „დაითრია“, ფიცრული, მომრგვალებული თეატრის შენობა ააგო, „გლობუსი“ დაარქვა და პირველი სპექტაკლიც დააჭაშნიკებინა თეატრალებს, თუმცა, ოფიციალურად **„გლობუსში“ 28 სექტემბერს იწყება პირველი სეზონი.** ერთ დღესაც, ბეგლარ ნოზაძემ თეატრი დამათვალიერებინა. მყუდრო შინაურული გარემო 110 მაყურებლისთვის, მომცრო სცენა, სათავსოები... „მთელი დასი აგებდა, განსაკუთრებით რეჟისორი ლევან კუჭაიძე ირჯებოდა, ცხადია, მთავარი სიმძიმე ბატონ სანდროს აწვა“, — მიამბო ბეგლარმა.

ზაფხული გაილია, ბაღში, „გლობუსის“ გარშემო ფოთოლცვენა დაიწყო და უკვე სანდრო მრევლიშვილს ვესაუბრები პირველი სეზონის გახსნის წინ.

— დამფინანსებელი თუ გყავთ ვინმე?

— ქალაქის მერია. არსებობს სუბსიდირების წესი, იდება ხელშეკრულება თეატრის ხელმძღვანელთან, რომელიც განკარგავს ამ სუბსიდიას. ხელფასები, რა თქმა უნდა, მცირეა, უფრო, ენთუზიაზმით ვმუშაობთ, მაგრამ, სადამდე უნდა ეყოს ენთუზიაზმი კაცს? ვნახოთ, უკეთესი დღეების იმედით ვართ...

— როგორ ატყობთ, მაყურებელს მოიზიდავთ?

— ჯერ არ ვიცით. ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენი მაყურებელი. ეს ხომ, ფაქტობრივად, პირველი სეზონია. პირადად მე, ვერასდროს დავთმობ, პოპულიზმის გამო, ჩემს პრინციპებს, მაგრამ ვერც იმას შევეგუები, რომ უმაყურებლო თეატრი იყოს. ამიტომ, საჭიროა ძალზე სარეპერტუარო პოლიტიკა...

— და, რა გაქვთ რეპერტუარში?

— პირველ სეზონს ვხსნით ჩვენი ძველი სპექტაკლით — „მარტორქები ორკესტრში“, რომელიც განახლებული დადგმაა და, ფაქტობრივად, პრემიერაა. ამ სპექტაკლს თეატრის მოყვარულები კარგად იცნობენ — 1997 წელს წლის საუკეთესო დადგმად აღიარა თეატრალურმა საზოგადოებამ, 2000 წელს კი სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

სპექტაკლი „თეატრის მოტაცება“ ამ შენობაში ვუჩვენეთ მაყურებელს და ახლაც რეპერტუარში გვაქვს. რეჟისორი სოსო ნემსაძე მაყურებელს სთავაზობს სპექტაკლს ნინო ნაკაშიძის მოთხრობის მიხედვით „ვინ არის დამნაშავე“. რეპერტუარშია, აგრეთვე, ჩვენი გახმაურებული სპექტაკლი „კვერცხი“.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ვმუშაობ სპექტაკლზე „სილაში ვარდი,“ რომელშიც შევეცდები ვაჩვენო გალაკტიონის ცხოვრება, ოღონდ, ეს არ იქნება არც დოკუმენტური, არც ბიოგრაფიული მასალა და არც გენიალური პოეტის პოეზიის საღამო. ეს იქნება სპექტაკლი, საერთოდ, პოეტზე — მიუსაფარზე, გარიყულზე, უცხოზე, უნაყოფოზე... როგორ დაადგა ხალხმა თავის უსაყვარლეს მგოსანს თავზე პოეტების მეფის დაფნის გვირგვინი და ეს როგორ გარდასახა მან ეკლის გვირგვინად. ეს გარდასახვის პროცესი იქნება ნაჩვენები სპექტაკლში... პოეტმა უნდა იტვირთოს კაცობრიობის ცოდვები და ამით იყოს ტანჯული. ეს არის მსოფლიო სევდა, რომელიც დემონის სახით დასდევდა ყოველთვის გალაქტიონს და გამუდმებულ მარტოობაში მიჰყავდა...

ამ ჩანაფიქრს თუ ხორცი შევასხი, მე ბედნიერი ვიქნები.

— საინტერესოა... აქვე ვცხოვრობ და, ხანდახან, რეპეტიციაზე დასწრების უფლება მომეცი...

— სიამოვნებით... მინდა შევქმნა, აგრეთვე, ლეონკავალოს „ჯამბაზების“ თეატრალური ვერსია, რადგან დღეს ძალიან აქტუალურად მიმაჩნია ნიღბებისა და ნამდვილი სახის თემა... აი, ეს არის მოკლედ...

— წარმატებით დაგეწყოთ და გაგესრულებინოთ პირველი სეზონი.

— გმადლობთ.

ვილენ მარდალეიშვილი.

სურათზე: თეატრ „გლობუსის“ დასი პირველი თეატრალური სეზონის წინ.

ხავარ ლომაძის ფოტო.

⊙ ინფორმაცია

ავიაცია

„ბრითიშ ეარვეისი“ ბრუნდება

საქართველოს გადამხდელთა კავშირი მიესალმება მსოფლიოში ცნობილი ავიაკომპანიის „ბრითიშ ეარვეისის“ დაბრუნებას საქართველოში. როგორც „ინტერ-პრესთან“ საუბარში გადამხდელთა კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ განაცხადა, ავიაკომპანიის ქართულ ბაზარზე შემობრუნება ნიშანია ქვეყანაში დაწყებული პოზიტიური ძვრების აღიარების, რაც უდაოდ გახდება საქართველოში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის ერთ-ერთი გარდამტეხი ფაქტორი.

ავიაკომპანია ფრენებს 1 ნოემბერს განაახლებს.

ხელმოწერა

„ნუ წახვალ სხვის ომში“

„ნუ წახვალ სხვის ომში“ — ამ ლოზუნგით „სახალხო დაცვის ლიგის“ თავმჯდომარე ირინა სარიშვილი-ჭანტურია მთელი საქართველოს მასშტაბით ხელმოწერების შეგროვებას განაგრძობს. ხელმომწერები ერაყში, კოსოვოსა და ავღანეთში ქართველი სამხედრო მოსამსახურეების გაგზავნის წინააღმდეგ გამოდიან.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ირინა სარიშვილმა განაცხადა, ამ დროისთვის 16 ათასამდე ხელმოწერაა შეგროვილი, 12 ოქტომბერს კი, საქართველოს პარლამენტს უკვე 30 ათასი ხელმოწერა გადაეცემა განსახილველად. მისი თქმით, რამდენიმე პარლამენტართან წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია და ისინი აღნიშნულ ხელმოწერებს საკანონმდებლო ორგანოს ოფიციალურად წარუდგენენ.

ინტერ-პრესი.

⊙ გადაძახილი

რა მიაწერა ნანა კალანდიამ პომადით თავისი ბაბუის ბინის კარს

(მესამე გვერდიდან)

სამწუხაროდ, ასე ხდება დღესაც და ამის საუკეთესო მაგალითად ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი — რუსეთი შეგვიძლია მივიჩნიოთ. მაგალითი მრავალია.

თუ გნებავთ, მანიაკი გიორგი რუსი გავიხსენოთ. გავიხსენოთ ზარ-ზეიმით დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი და ამ ტრაქტატის ხელმოწერის მე-13 წლისთავზე რუსი ხელმწიფისაგან უერთგულესი ერეკლე II-ის გაცურება და აღა-მაჰმად-ხანის სათარეშოდ მიგდებული თბილისი გავიხსენოთ.

მე, აფხაზეთის ომის თანამონაწილე, აფხაზეთის სისხლიან დღეებს გავიხსენებ. რუსეთის მიერ აფხაზ სეპარატისტთა შეიარაღებას გავიხსენებ, მოხალისე რუსი ნარკომანებისა და ალკაშებისათვის რუსეთის ქალაქებში გახსნილ სამობილიზაციო ცენტრებს გავიხსენებ, მათ დასაფინანსებლად რუსეთის ბანკებში გახსნილ ანგარიშებს გავიხსენებ, რუსულ ჰაუბიცებს, გრადებს, ტანკებს, ჯავშანტრანსპორტიორებს, რუსულ საზღვაო და საჰაერო ხომალდებს გავიხსენებ, დღე და ღამ რომ ბომბავდნენ გაგრასა და სოხუმს. შემდეგ 1992 წლის 2 სექტემბრის მოსკოვის სამმხრივ მოლაპარაკებას გავიხსენებ, ქლესად მომღიმარ, არყით ღრანჭმოქცეულ ელცინს გავიხსენებ, გაოგნებულ შევარდნაძესა და ელამსა და ცულლუტ არძინბას ხელიხელ ჩასაჭიდად ერთმანეთისაკენ რომ ეზიდებოდა, ვითომც „კონფლიქტის“ მშვიდობიანი მოგვარებისა და ომის შეწყვეტისათვის ხელმოწერილი ხელშეკრულების აღსანიშნავად. იმ მორიგ რუსულ ბლეფს გავიხსენებ, რომელიც იმით მთავრდება, რომ გაგრის ქართული სანგრები ცარიელდება და საპასუხოდ რუსული რეგულარული ნაწილები და ასევე რუსული უახლესი ტანკები 3 სექტემბრისათვის გაგრას იღებენ და ქალაქის სტადიონზე აფხაზი სეპარატისტები და ჩრდ. კავკასიელი ბანდიტები ქართველთა მოკვეთილი თავებით ფეხბურთს თამაშობენ.

... და ისევ და ისევ რუსთა ღალატს გავიხსენებ. 1993 წლის 27 ივნისის სოჭის ხელშეკრულებას გავიხსენებ, კონფლიქტის ზონიდან მძიმე ტექნიკის გატანასა და ომის შეჩერებას რომ აკანონებდა.

ჩვენს მიერ დაქირავებული რუსული გემებით მძიმე ქართული სამხედრო ტექნიკის ფოთში გადატანას გავიხსენებ, აფხაზი სეპარატისტების მიერ რუსეთის სამხედრო მძიმე ტექნიკის ახალი ათონის (ქ. სოხუმიდან 10 კმ-ზე) გამოქვაბულში გადამალვას გავიხსენებ. ჩვენი დოყლაპია ყოფილი პრეზიდენტისაგან ამ რუსული ზღაპრის დაჯერებას გავიხსენებ, რომელიც იმით მთავრდება, რომ 16 სექტემბერს აფხაზი სეპარატისტები ომს ანახლებენ და რუსული სამხედრო შენაერთებისა და თვითმფრინავების სოხუმზე 13 დღე და ღამიან იერიშებს გავიხსენებ, განიარაღებული და გაშიშვლებული ქართველი ბიჭების წინააღმდეგ ისევ რუსული ჰაუბიცებით, გრადებით, ტანკებით, ბომბდამშენი თვითმფრინავებით, ცაზე დაკიდებული გაბრდღვიალებული ჭაღებითა და მოიერიშე გემებით გარშემორტყმულ ქალაქ სოხუმს გავიხსენებ.

სოხუმის დაცემას გავიხსენებ და ურჩხულთა იმ სისხლიან ზეიმს გავიხსენებ, ისევ გაუგონარ ხოცვა-ჟლეტას გავიხსენებ, ქართველთა წმენდის წმინდა ბართლომეს დღეებსა და ღამეებს გავიხსენებ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს 45 მუშაკი ქართველი რომ ეწირება, ლეგენდარულ ჟიული შარტავასთან ერთად.

... შემდეგ ისევ ის ყურებამდე დაღრეჭილი ელცინი და ისევ ქლესა რუსი დიპლომატები გაიძვერა პოსტუხოვით, ცისფერქუდა და ცისფერკუდა მშვიდობის მოსურნენი ცისფერივე ჩაფხუტებით.

მუცელგაფატრულსა და შუაზე გახერხილ ქართველ დედებს გავიხსენებ, ბანდიტთა მიერ ყურებაცმულ საკინძეებსა და ყელგამოჭრილ ქართველ ვაჟკაცთა ცხედრებს გავიხსენებ, ჰოლანდიური ჰალსტუხებით „შემკობილებს“...

ისევ 1998 წლის სექტემბრის გალის ტრაგიკულ დღეებს გავიხსენებ და ისევ ე. წ. რუსი სამშვიდობოების უშუალო მონაწილეობითა და წინამძღოლობით ხანძარში მოგიზგიზე 2000-მდე სახლს გავიხსენებ, ათასობით ისევ დევნილ გალელ ქალს და ბავშვს გავიხსენებ...

მესრებზე ჩამოცმულ ქართველთა თავებსა და რკინის კაუჭებზე ჩამოკოპწიავებულ ქართველთა ცხედრებს გავიხსენებ, რუსული წარწერებით: **„პროდაიოტსია გრუზინსკოე მიასო“.**

ახლა მე თქვენ გეკითხებით, განა ყოველივე ეს არ იყო ტერორიზმი, არ იყო კაციჭამიობა, რომელსაც ცივილიზებული კაცობრიობა მსუბუქად გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას ეძახის და რუსთა „შუამავლობისა“ და „შემრიგებლური“ პოლიტიკის გამოისობით ესეც ვერ უღიარებიათ დღემდე?!

განა ფიცი და მტკიცი ესაჭიროება, რომ ყოველივე ამას ტერორიზმი დაერქვას?!

განა რუსეთის მიერ ჩეჩნეთში წლობით გაჩაღებული ომი, რომელმაც, როგორც აღენიშნე 42 ათასამდე ბავშვი შეიწირა, იგივე ტერორიზმის ნიშანს არ ატარებს?

ისევ წაიკითხეთ და კარგად დაიხსომეთ რუსეთის პრეზიდენტის პუტინის მიერ სოჭში პატივით მიღებული და აფხაზეთის მომავალ პრეზიდენტად გამიზნული, აფხაზეთის ომის დროს ყოფილი კაგებეშნიკის ხაჯიმბას ახლახან წარმოთქმული სიტყვები: **„აფხაზების მიერ ქართველების ეთნიკური წმენდა გამართლებული და შეუქცევადი იყო და აფხაზეთის მომავალი რუსეთის გარეშე წარმოუდგენელია“...** („უოლსტრით ჯორნალ“, აშშ, სექტემბერი, 2004 წ.).

რაც ავანი, იგივე ჩავანიო, ან: „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინცა ხარ შენ“..

აქ უკვე გამოსაცნობი და გასაიდუმლოებული მხოლოდ ბრიყვთათვის შეიძლება იყოს რაიმე. და არც ვაჟბატონი პუტინის სიტყვებს უნდა მიენიჭოს რაიმე მნიშვნელობა, რომელიც ხშირად ასე მხურვალედ წარმოითქმება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შეუვალობის შესახებ.

მთავარია არა ის, თუ რას წერენ, რას ამბობენ, რას იფიცებიან, არამედ ის, თუ რას იქმიან, რას აკეთებენ პოლიტიკოსები.

სოჭი-სოხუმის სარკინიგზო ხაზის ცალმხრივი აღდგენა და ახლახან გაშვებული ცისფერი შემადგენლობა მოკინკილე ექვსი ვაგონითა და ცისფერფორმიანი რუსი გამცილებლებით, სოხუმიდან ყვავილებითა და ორკესტრით რომ გააცილეს და მოსკოვის ვოგზალზე დაგეშილი ძაღლებით რომ შეხვდნენ, ყველაფერზე აშკარად მიგვანიშნებს.

არა, ღმერთი იმაზე მეტად სამართლიანია, ვიდრე ჩვენ გვგონია: ყველაფერი ის, რაც დღეს რუსეთის იმპერიაში ხდება, რომელსაც კერპად და ლიდერად ივანუშკა დურაჩოკივით სულელი და მასხარა ჟირინოვსკი გაუხდია, რუსული იმპერიული პოლიტიკის დასასრულის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ.

ბესლანის ტრაგედიითა და პუტინის ზიგზაგობრივი აგრესიული პოლიტიკის კრახით ლი განცხადება მსოფლიოს ბევრმა პოლიტიკოსმა გაიგო, როგორც მუქარა აჰმედ ზაკაევისა და იალაის ახმედოვის გასანადგურებლად.

მე კი ვფიქრობ, რუსი სახელმწიფო თუ სამხედრო მაღალჩინოსან პირთა განცხადებანი ეს არის აშკარა მუქარა საქართველოზე, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა და ქართველმა ხალხმა თავი გაანებონ ბრძოლასა და ოცნებასაც კი რუსეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების — შიდა ქართლისა და აფხაზეთის შემოერთებაზე და შაგრენის ტყავივით შეკრეჭილ საკუთარ კანში დაეტიონ. ეს მუქარა მათ პრაქტიკულად განახორციელეს სამაჩაბლოში, როცა სამხედრო ძალების საეჭვო გადაადგილებით რუსეთმა რუსეთ-საქართველოს საზღვარი მოფელა და როკის უღელტეხილით აურაცხელი იარაღის შემოზიდვასა და ბანდფორმირებების შემობრძანებას კა-

გაოგნებულ რუს კარისკაცებს შავი კატა იქ ელანდებათ, სადაც ამ ნაზ ოთხფეხას ფეხიც არ დაუდგამს და ჩრდილოეთ ოსეთის ტრაგედიის კვალს საქართველოში ეძებენ. თუმცა რუსეთის გაავებული ყველა პოლიტიკოსის მცდელობა, ტერორიზმის ჯოხი საქართველოზე გადატეხონ და ამით აიცილონ პოლიტიკური კრახით გონწართმეული პუტინის რისხვა, ვერაფერი შეღავათია. ამ მიუზომელ და ზღვარგადასულ მიწევ-მოწევაში, შეიძლება ითქვას, პოლიტიკურ განცხადებათა ბაქიობის ბანკი მოხსნა რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა იური ბალუევსკიმ, რომ რუსეთი პრევენციულ დარტყმებს განახორციელებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ტერორისტთა განადგურების მიზნით. ოღონდ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს...

იური ბალუევსკის ეს ძლიერ ხმამაღარი გაუხსნა. დღეს კი, პირდაღებულნი და გაოცებულნი კითხულობენ, საიდან ამოყვეს ტერორისტებმა თავი ბესლანშიო?!

დიახ, რასაცა დასთეს, იმასვე მოიმკი.

ყველა ეს მუქარა კავკასიის ორად-ორი ქვეყნის — ჩეჩნეთისა და საქართველოს გასაგონად კეთდება.

ჩეჩნეთზე ხელახალი აგრესიის განახლება ადრე იმიტომ დასჭირდა ვლადიმერ პუტინს, რომ თავი პრეზიდენტის გვირგვინით დაემშვენებინა, დღეს ეს გვირგვინი საკმაოზე მეტად გაუფერულდა, შეჭკნა და საჭიროა მისი გამწვანება.

ამ დროს პუტინს საქართველო და მისი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავისი აჭარით, აფხაზეთით, სამაჩაბლოთი და ტერიტორიული მთლიანობის მოძახილებით ყელში გაეჩხირა. საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებით პუტინი ელცინის გაიძვერობით წაგლეჯილ აფხაზეთსაც, სამაჩაბლოსაც კარგავს და, წარმოიდგინეთ თქვენ,— მთლიანად კავკასიასაც.

...და იგი რუსეთის ისტორიაში ოქროს ასოებით კი არა, საკმაოზე მუქი ფერებით ჩაიწერება, როგორც ხელმოცარული პრეზიდენტი.

ასეთ დროს ლაპარაკი პუტინის კეთილგანწყობასა და რუს მშვიდობისმყოფელ ძალებზე, გინდ დსთ-ს მუნდირი ეცვათ და გინდ გაეროს ცისფერი თუ ყავისფერი ჩაფხუტები ეხუროთ, გულუბრყვილობას ნიშნავს.

საჭიროა, ახლანდელმა პარლამენტმა 2002 წლის 11 ოქტომბერს მოძრაობა — „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის“, — აქციების დიდი ზეწოლით წინა პარლამენტის გადაწყვეტილება, რუსეთის ე. წ. სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ კონფლიქტის ზონიდან, დაუყოვნებლივ აღასრულოს.

ასევე უნდა აღსრულდეს სტამბოლის და ბუდაპეშტის სამიტთა გადაწყვეტილებანი რუსული ბაზების საქართველოდან გატანის შესახებ.

დიახ, დრო არის, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი პრეზიდენტის ამასწინანდელ გამონათქვამს თუ გამოვიყენებთ, რუსმა ჯარისკაცებმა სამხედრო ბაზებთან ერთად თავიანთი საცვლებიც გაიტანონ საქართველოდან.

მშვიდობის მოსურნენიო, ცისფერჩაფხუტიანებიო!.. რა მშვიდობაზე, რა ცისფერზეა ლაპარაკი? აქ ფერი კი არა, მთავარი ის არის, ვინ ატარებს ამ ცისფერ ჩაფხუტს. არა ფერია მთავარი, არამედ თავად იდეა და გული. იდეა და გული კი მათ ჟირინოვსკის, ელცინის და პუტინისა აქვთ. ჟირინოვსკის, ელცინისა და პუტინის იდეა და გული კი იმპერიულია, დამპყრობლურია.

და, რასაკვირველია, როცა რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი იური ბალუევსკი ტერორისტების წინააღმდეგ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილების პრევენციული დარტყმებით იმუქრება, უპირველესად საქართველოსა და, კერძოდ, პანკისს გულისხმობს, იმ პანკისს, სადაც რუსეთის აგრესიული პოლიტიკის წყალობით ჩეჩნეთიდან დევნილი ბავშვები და მათი დედები შევიფარეთ და არა ტერორისტები.

დიახ, როგორც რუსეთის აგრესიული ზრახვების რუპორმა ჟირინოვსკიმ აღიარა, რუს პოლიტიკოსებს სძულთ საქართველო, სძულთ კავკასია და ყველა კავკასიელი სძულთ, რადგან ამირანის შთამომავალნი დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, ისინი კი მებრძოლთ კი არა, მონებს იგუებენ და წყალობენ.

დიახ, რაც ჩრდილოეთ ოსეთის პატარა ქალაქ ბესლანში მოხდა, არ შეიძლება, შემთხვევითობად ჩაითვალოს. ის უფრო ღმერთის მკაცრ განაჩენად შეგვიძლია მივიჩნიოთ. არ შეიძლება სისხლით მოსულმა დემონმა გზად ვარდ-ყვავილები განფინოს და მშვიდობა და სულთათანა იგალობოს. დემონი ყოველთვის სისხლთან და უბედურებასთან არის დაწყვილებული.

ერთი ცხადი გახდა, ბესლანის ტრაგედიამ მშვიდობისმოყვარე და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ საქართველოს „პარტნიორ“ რუსეთს ნიღაბი ჩამოხსნა და თავიდან ფეხებამდე გააშიშვლა.

ამ ბოლო დროს საკონფლიქტო ზონაში მომრავლებულმა რუსმა ე. წ. სამშვიდობო ძალებმა კოლხეთში მომხდარი ერთი ეპიზოდი გამახსენა:

კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში გლეხს ტაბლა გაუშლია და ქეიფობს. როცა ღვინო შემოაკლდათ, მასპინძელმა შვილს გადაძახა, წადი, ქვევრიდან ღვინო ამოიღეო. წავიდა ბიჭუნა და შეშფოთებული და ხელცარიელი დაბრუნდა უკან, მამა, ქვევრში რუსი ცისფერჩაფხუტიანი ჩამხრჩვალაო.

— შვილო, საქართველოში რუს ცისფერჩაფხუტიანებს რა გამოლევთ, რას დარდობ, მეორე ქვევრს მოხადე თავი და ღვინო იქიდან ამოიტანეო.

არა! ნამდვილად მჯერა, რომ რუსი ცისფერჩაფხუტიანები მალე გავლენ საქართველოდან და ქვევრში ღვინოც დაიწმინდება...

დიახაც, უკვე დროა, რუსმა ჯარისკაცებმა არხეინად განფენილი თავიანთი საცვლები ჩამოხსნან და საქართველოდან გაიტანონ.

უკვე 200 წელია, რუსი დამპყრობლები საქართველოსა და ქართველი ხალხის სახით საძულველ მტრის ხატს ხატავენ, ამცირებენ, აძაგებენ, აკნინებენ მთელი მსოფლიოს წინაშე და ფეტვსა და ჭუჭყს აყრიან, ეს, როგორც ქართულ-ხალხურ ეპოსში „ეთერიანში“ მშვენიერ ეთერ ქალს დამართა მურმანმა.

მაგრამ ჩვენ აბესალომი როდი ვართ, რომ ჩვენი ეთერი — საქართველო მივატოვოთ და სანადიროდ თუ სანადიმოდ გავწიოთ. ბრძოლა დაწყებულია და იგი გამარჯვებამდე გაგრძელდება!

ამის დასტურია, თუნდაც ერთი ლამაზი და საოცარი ეპიზოდი, რომელიც ამ არცთუ დიდი ხნის წინათ სოხუმში ჩასულმა ქართველმა დევნილმა გოგონამ ნანა კალანდიამ მოიმოქმედა.

ნანა კალანდია აფხაზეთის ყოფილი მინისტრთა საბჭოს ერთ-ერთი ცნობილი პასუხისმგებელი მუშაკის, აწ გარდაცვლილი ხუტა ნიკოლოზის ძე ჯიქიას შვილიშვილია. იგი ამჟამად, როგორც დევნილი, ქ. სოჭში ცხოვრობს და ქალაქის ტელევიზიაში მუშაობს. ნიჭიერი და გონიერი გოგონა სოჭის ტელევიზიის მხიარულთა და საზრიანთა კლუბშიც აქტიურად მონაწილეობს. ხშირად სცენარებსა და კომპოზიციებსაც წერს. ერთხელ აღნიშნული კლუბი ქ. სოხუმში გაემგზავრა, რათა აფხაზ კოლეგებთან პაექრობა გაემართათ და ნანაც თან წაიყვანეს, როგორც კლუბის ერთ-ერთი წამყვანი და აქტიური წევრი. როცა მდინარე ფსოუსთან, „რუსეთ-აფხაზეთის“ საზღვართან ავტობუსი შეაჩერეს და ნანას საბუთები შეუმოწმეს, რატომღაც ყოველგვარი პრობლემის გარეშე გაატარეს. გოგონამ, როცა აფხაზეთის ტელევიზიაში რეპეტიცია გაიარა და შესვენებაც გამოცხადდა, გადაწყვიტა ბაბუის, ხუტა ნიკოლოზის ძის ყოფილი ბინა მოენახულებინა, სადაც მან ბავშვობა გაატარა. ამჟამად იგი ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ კორპუსთან შედგა და ნაცნობ საფეხურებს ფრთხილად აუყვა. გოგონამ ბაბუის ბინის კარებს მიაყურადა და მოკრძალებით მიუკაკუნა. არავინ გამოხმაურებია. კარს მიაწვა და იგი წამსვე გაიღო, თითქოს მის ნამდვილ მასპინძელს ელოდაო. ნანამ ნელა შეაბიჯა ბინაში. გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა. ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა, ავეჯი, საძილე თუ სასტუმრო ოთახები, წიგნებით გამოტენილი კარადები, მხოლოდ მისთვის ნაცნობი და საყვარელი სურათები ჩამოეხსნათ კედლებიდან.

კარადიდან მისთვის ძვირფასი სამი წიგნი გადმოიღო და ხელჩანთაში ჩაიდო. ჩანთიდან კი პომადა ამოიღო და გარედან, კარებზე წითლად, დიდი ასოებით, რუსულად, ლამაზი ხელწერით მიაწერა: „Сюда еще вернется Хута Николаевич Джикия!..“ და კიბეებს ნელა დაუყვა.

მეზობელმა აფხაზებმა უცნაური წარწერა მალე გაახმაურეს. ბინა სწორედ აფხაზეთის უშიშროების მინისტრის გივი აგრბასი გამოდგა, ძველი მასპინძელი ახალ მასპინძელს შეეცვალა.

რასაკვირველია, სასწრაფოდ მოიძიეს წარწერის ავტორი ნანა კალანდია და მხიარულთა და საზრიანთა კლუბიდან ფრიად მწუხარეთა და უაზროთა კლუბში — ე. წ. აფხაზეთის უშიშროების სამინისტროში მიაბრძანეს.

დაკითხვით თვით მინისტრმა დაჰკითხა კერპი და გულადი გოგონა და, როცა მისი შეუპოვარი და გონივრული პასუხი მოისმინა, ღიმილით ჩაილაპარაკა: „არა, ეს გოგონა ბაბუამისს — ხუტა ნიკალაევიჩს სულაც არ ჰგავს, ის უფრო რბილი და დამთმობი იყო, ამას კი ბებიამისის ნუშა ზარქუას ჯიუტი და ამაყი სისხლი უჩქეფსო და ასევე ღიმილითვე გააცილა საზღვრამდე, თან განუწყვეტელი ფიქრი აწვალებდა, თუ ყველა ქართველი ამ გოგონასავით ფიქრობს და სჯერა, ისინი მართლაც მალე დაბრუნდებიანო.

დიახ, ჩვენ დავბრუნდებით, ჩვენ ნანა კალანდიასი და მისი ბებიის ნუშას სისხლი გვიდუღს და მათი გამბედაობა, სიჯიუტე და გონიერება დაგვაბრუნებს.

P. S. ბატონ გივი აგრბას გამოჩენილი ჰუმანურობისთვის თანამდებობის დატოვება მოუხდა, მაგრამ არც ნანობს და თავისთვის ხშირად იმეორებს: „თანამდებობა დროებითია, სიყვარული კი — მარადიული და შეუვალი“.

სწორედ რომ სიყვარულმა გადაარჩინა და კიდევ მრავალჯერ გადაარჩენს საქართველოს.

თუმცა პრეზიდენტის სიტყვები: „ჩვენ აფხაზეთში სიყვარულით დავბრუნდებით და არა ომით“... — სწორად უნდა იქნეს გაგებული, — ვინც ამ სიყვარულს სიძულვილს შეაგებებს, ისინი ჩვენგან ვარდ-ყვავილებს ნამდვილად არ უნდა ელოდონ...

ჯანო ჯანელიძე.

◎ ბილიარდი

„კავკასიის თასი – 2004“

ბუშინ მიხეილ კეკელიძის სახელობის ვერის საკალათბურთო დარბაზში დაიწყო და კვირას დამთავრდება მობილიარდეთა პირველი საერთაშორისო ღია ტურნირი სახელწოდებით – „კავკასიის თასი-2004“ შეჯიბრებაში საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, სომხეთისა და ბელარუსის 34 სპორტსმენი მონაწილეობს. ისინი კლასიკურ ბილიარდში („პირამიდა“) შეეცილებიან ერთმანეთს პირველობას. ტურნირისადმი ინტერესს, 20 ათასი ამერიკული დოლარის საპრიზო ფონდის გარდა, ისიც ბრდებს, რომ მასში ასპარეზობენ მსოფლიო ჩემპიონები – რუსეთელი ევგენი სტავლევი და ყაზახი კანიბეკ საგინდიკოვი, ევროპის ჩემპიონი ვლადიმირ პეტუშკოვი (რუსეთი).



კავკასიის რეგიონში პირველი „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირის საზეიმო გახსნისას დიდი სპორტდიას გააცილეს საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **დავით ალექსიძე.**

– დიდი მადლობა ყველას, ვინც წლების განმავლობაში გეურდით მეღვა და მეხმარებოდა, როგორც სპორტსმენს და ფედერაციის ხელმძღვანელს, – მითხრა ბაგონმა დავითმა, – ახლაც, ამ ტურნირის გამართვაში დიდი დამსახურება მიუძღვით საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და თბილისის მერიის ხელმძღვანელებს. რომ არა ისინი, საპრიზო თანხის შოვნას ვერ შევძლებდი, რადგან ბიზნესმენებს თითო თითზე არ დაუკარებიათ. იმედია, ისინი სამომავლოდ მაინც ამოუდგებიან მხარში, რადგან ბილიარდის საერთაშორისო ფედერაციამ ჩვენი ტურნირი უკვე 2005 წლის კალენდარში შეიტანა.

ორთაბრძოლების მსვლელობისას გავესაუბრე შეჯიბრების მთავარ მსაჯს, 110 მეტრზე თარჯრბენში საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონსა და პრიზიორს, დახურული დარბაზებისთვის ევროპის პირველობის გამარჯვებულს, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ფინალური გარბენის მონაწილეს **იური ჩერვანიოვს:** „სასიამოვნოა, რომ ამგვარი ტურნირის მასპინძლობა თბილისმა ითავა. შეჯიბრება ჩინებულად არის ორგანიზებული, რაც საქართველოს ბილიარის ფედერაციის პრეზიდენტის დავით ალექსიძის დამსახურებაა. ვიმეღოვნებ, რომ თბილისის ტურნირი ტრადიციული გახდება“...

გუშინვე გაიმართა პირველი ორთაბრძოლები. მეტოქეები ოთხ მოგებამდე თამაშობდნენ (ნახევარფინალში 5, ხოლო ფინალში 7 მოგებამდე იასპარეზებენ). საინტერესოდ წარიმართა დავით ფიფიას და ევგენი სტალევის შეხვედრა. ქართველმა სპორტსმენმა 4:2 სძლია მრისხანე მეტოქეს და მომდევნო წრეში გავიდა. მთავარი პრიზისთვის ბრძოლას უფლება არც მსოფლიო ჩემპიონს დაუკარგავს, რადგან წინასწარ შეხვედრებში 2 წაგებამდეა თამაში. გაუწყებთ დანარჩენი შეხვედრების ანგარიშებს: ვლადიმირ პეტუშკოვი – ემირ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი) 4:0, პაატა ხმალაძე (საქართველო) – ვილენ მარდანოვი (სომხეთი) 4:2, გიორგი გუშეხაშვილი (საქართველო) – მიხეილ უშნაძე (საქართველო) 0:4, სტანისლავ პეტრივი (უკრაინა) – დავით შალამბერიძე (საქართველო) 4:1, გიგი ანფიმიადი (რუსეთი) – კარენ ვარდანიანი (სომხეთი) 4:2, ივა არჩვაძე (საქართველო) – გურამ ჩოგოშვილი (საქართველო) 4:2, ნიაზ ხალაფოვი (აზერბაიჯანი) – ომარ გელაშვილი (საქართველო) 4:0, რასიმ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი) – ალექსანდრ პალამარი (უკრაინა) 1:4, მისაკ ახოიანი (სომხეთი) – არტურ პოღოსიანი (საქართველო) 3:4, გურგენ მარტიროსიანი (სომხეთი) – ირაკლი ლომაია (საქართველო) 4:1, ალექსეი დენისოვი (რუსეთი) – იური ლობაჩი (ბელარუსი) 4:1, გიგრან კაბარიანი (სომხეთი) – პაატა ხმალაძე (საქართველო) 1:4.

ლექსო ცინცაძე.

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო ევროპის ჩემპიონატის I საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობა.

სტარგზე მაკედონიელებთან გამარჯვების – 4:1 შემდეგ თამაზ კოსტავას შეგირდებმა ფრედ – 0:0 ითამაშეს ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან – საბერძნეთის გუნდთან და ჯგუფიდან გასასვლელად ღღეს მასპინძლებთან – ფინელ თანატოლებთან შეხვედრაში ერთი ქულის მოპოვებაც ჰყოფნით.

* * *

იტალია. III ტური. „მილანი“ – „მესინა“ 1:2, „რომა“ – „ლეჩე“ 2:2, „კალიარი“ – „სიენა“ 2:0, „სამპდორია“ – „იუვენტუსი“ 0:3, „კიევო“ – „უდინეზე“ 0:0, „რეჯინა“ – „ლივორნო“ 2:1, „იტალანტა“ – „ინტერი“ 2:3, „პალერმო“ – „ფიორენტინა“ 0:0, „ბრესია“ – „ლაციო“ 0:2, „პარმა“ – „ბოლონია“ 1:2.

ლიდერთა ჯგუფი: „იუვენტუსი“ – 9, „ლაციო“, „მესინა“ – 7-7 ქულა.

ბომბარდირები: გრეზეგე („იუვენტუსი“), მონტელა („რომა“), ბოყონივი („ლეჩე“) – 4-4 გოლი.

3. ცალკეული კომპონენტების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესაბამისობის უზრუნველყოფა პროექტის შუალედურ და საბოლოო შეღეგებთან.

4. ღონისძიებათა განხორციელების ზედამხედველობა, შეფასება და ანგარიშგება.

5. პროექტის განხორციელების უზრუნველყოფა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, გეგმის დარღვევის ნებისმიერი შემთხვევის დაფიქსირება და პრობლემის გაღაჭრის სტრატეგიის შემოთავაზება.

6. პროექტის ეფექტურობის მონიტორინგი და ანგარიშგება.

7. ნაყოფიერი თანამშრომლობის უზრუნველყოფა შესაბამის სტრუქტურებთან – მსოფლიო ბანკი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი და სხვა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. უმაღლესი სამედიცინო განათლება.

2. სასურველია მაგისტრის ხარისხი ბიზნესის აღმინისტრაციაში/საზოგადოებრივ აღმინისტრაციაში, ზოგად მენეჯმენტში.

3. შესაბამის სფეროში მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება.

4. საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება.

5. კომპლექსური პროექტის მართვის გამოცდილება.

6. ქართული და ინგლისური ენების სრულყოფილი ცოდნა (ზეპირი და წერილობითი).

7. ძირითადი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილი ცოდნა (Word, Excel, PowerPoint, ელ-ფოსტა, პროექტის მართვის სისტემები).

8. მინიმალური ზედამხედველობის ქვეშ მუშაობის უნარი, ქვეყანაში და მის გარეთ ხშირი მგზავრობის შესაძლებლობა.

დაქირავების პირობები: გრძელვადიანი კონტრაქტი (მაგ. ერთწლიანი კონტრაქტი, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს პროექტის დასრულებამდე) სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდის წარმატებით გავლის შემდეგ.

3) თანამდებობა: პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის კომპონენტის კოორდინატორი (კომპონენტი – პირველადი ჯანდაცვის მომსახურების უზრუნველყოფა), ექვემდებარება პროექტის მენეჯერს.

სამუშაოს აღწერა:

1. კომპონენტის გეგმების მომზადება და განსახორციელებელ ღონისძიებათა მართვა და ზედამხედველობა.

2. კომპონენტების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესაბამისობის უზრუნველყოფა პროექტის შუალედურ და საბოლოო შეღეგებთან.

3. ღონისძიებათა განხორციელების ზედამხედველობა, შეფასება და ანგარიშგება.

4. კომპონენტის განხორციელების უზრუნველყოფა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, გეგმის დარღვევის ნებისმიერი შემთხვევის დაფიქსირება და პრობლემის გაღაჭრის სტრატეგიის შემოთავაზება.

5. პროექტის ეფექტურობის მონიტორინგი და ანგარიშგება.

6. მჭიდრო თანამშრომლობა ყველა დაინტერესებულ მხარესთან, განსაკუთრებით სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტებთან, მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონულ დეპარტამენტებთან.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. უმაღლესი სამედიცინო განათლება.

2. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის, მათ შორის პირველად და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემების კარგი ცოდნა.

3. კომპლექსური პროექტების მართვის მინიმუმ 3 წლის გამოცდილება.

4. საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება.

5. კომუნიკაციის კარგი უნარი.

6. ქართული და ინგლისური ენების სრულყოფილი ცოდნა (წერილობითი და ზეპირი).

7. ძირითადი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილი ცოდნა (Word, Excel, PowerPoint, ელ-ფოსტა, პროექტის მართვის სისტემები).

8. მინიმალური ზედამხედველობის ქვეშ მუშაობის უნარი, ქვეყანაში და მის გარეთ ხშირი მგზავრობის შესაძლებლობა.

დაქირავების პირობები: გრძელვადიანი კონტრაქტი (მაგ. ერთწლიანი კონტრაქტი, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს პროექტის დასრულებამდე) სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდის წარმატებით გავლის შემდეგ.

4) თანამდებობა: შესყიდვების მენეჯერი, ექვემდებარება დირექტორის მოადგილეს, ასევე აღმასრულებელ დირექტორს.

სამუშაოს აღწერა:

1. პროექტების ფარგლებში აუცილებელი შესყიდვების უზრუნველყოფა მსოფლიო ბანკის პროცედურებისა და საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონის თანახმად.

2. შესყიდვების გეგმის მომზადების უზრუნველყოფა; შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება, ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელება, მიღება-ჩაბარების პროცედურების ზედამხედველობა.

3. შესყიდვების ღონისძიებათა კოორდინაცია და ზედამხედველობა; შესაბამისი ანგარიშების მომზადება.

4. შესყიდვების პროცედურებისა და დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველყოფა როგორც ქვეყანაში მოქმედ, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობასთან.

5. შესყიდვების განყოფილების ყოველდღიური საქმიანობის ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა.

6. ანგარიშგება მსოფლიო ბანკისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. უმაღლესი განათლება ფინანსების/ეკონომიკის დარგში.

2. სასურველია მაგისტრის ხარისხი ბიზნესის აღმინისტრაციაში/საზოგადოებრივ აღმინისტრაციაში, ზოგად მენეჯმენტში.

3. აღგილობრივი/საერთაშორისო შესყიდვების განხორციელების მინიმუმ 5 წლის გამოცდილება.

4. საქართველოს ჯანდაცვის სისტემის, მათ შორის პირველად და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემების კარგი ცოდნა.

5. ქართული და ინგლისური ენების სრულყოფილი ცოდნა (წერილობითი და ზეპირი).

6. ძირითადი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილი ცოდნა (Word, Excel, PowerPoint, ელ-ფოსტა, პროექტის მართვის სისტემები).

7. კომუნიკაციის კარგი უნარი.

8. მინიმალური ზედამხედველობის ქვეშ მუშაობის უნარი, ქვეყანაში და მის გარეთ ხშირი მგზავრობის შესაძლებლობა.

დაქირავების პირობები: გრძელვადიანი კონტრაქტი (მაგ. ერთწლიანი კონტრაქტი, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს პროექტის დასრულებამდე) სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდის წარმატებით გავლის შემდეგ.

5) სახელწოდება: ფინანსური მენეჯერი, ექვემდებარება დირექტორის მოადგილეს, აგრეთვე აღმასრულებელ დირექტორს.

სამუშაოს აღწერა:

1. ფინანსური რესურსების ოპტიმალური გამოყენების ზედამხედველობა.

2. ანგარიშების მომზადება და ჩაბარება საქართველოს მთავრობის კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მიერ მიღებული ფინანსური ანგარიშგების და გადახდის წესებისა და გრაფიკის თანახმად.

3. საბუღალტრო ანგარიშების სწორი ფორმულირების, მათი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტებთან შესაბამისობის ზედამხედველობა, დროული ანგარიშგების უზრუნველყოფა.

4. გადახდებისა და ფინანსების სპეციალისტის მუშაობის ზედამხედველობა და საჭიროებისას – ტრენინგი.

5. საბუღალტრო, ანგარიშგების და შიდა კონტროლის პროცედურების შესაბამისობის უზრუნველყოფა მსოფლიო ბანკისა და ქართული კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ამ პროცედურების ზუსტი პრაქტიკული განხორციელების უზრუნველყოფა.

6. საბუღალტრო ანგარიშების მსოფლიო ბანკისთვის ჩაბარება შეთანხმებული ფორმატისა და გრაფიკის მიხედვით.

7. ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის დახმარება ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებასა და მათ განხორციელებაში.

8. ნაყოფიერი თანამშრომლობის უზრუნველყოფა შესაბამის სტრუქტურებთან – მსოფლიო ბანკთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროსთან.

9. ყველა ტიპის გადახდების კონტროლი, სპეციალურ ანგარიშზე ყოველთვიური ბალანსის, მსოფლიო ბანკის ყოველთვიური გადახდების და სხვა საბანკო ანგარიშების კონტროლი.

10. სრულყოფილი ფინანსური დოკუმენტაციის მომზადება და დროული გაგახდების უზრუნველყოფა.

11. ფულის მიმოქცევაზე კონტროლი და კონტრაქტორისაღმი გადახდილი თანხების მონიტორინგი.

11. ცენტრის საფინანსო სახელმძღვანელოს გადახედვა/განახლება და ფინანსური პროცედურების მასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

12. მსოფლიო ბანკისთვის მისაღები აუდიტორების დროული მოწვევა და აუდიტის ანგარიშების მსოფლიო ბანკისთვის დროული წარდგენა.

13. ყოველწლიური აუდიტის შედეგად წამოჭრილი ყველა საკითხის სწრაფი, სრული და დოკუმენტირებული გადაწყვეტა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. უმაღლესი განათლება ფინანსების/ეკონომიკის დარგში.

2. სასურველია მაგისტრის ხარისხი ბიზნესის აღმინისტრაციაში/ საზოგადოებრივ აღმინისტრაციაში, ზოგად მენეჯმენტში.

3. სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციაში, შესაბამისი პროფილით მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება.

4. საფინანსო დაგეგმვისა და საბუღალტრო სისტემებში პრაქტიკული გამოცდილება.

5. საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების და კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების კარგი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება.

6. ქართული და ინგლისური ენების სრულყოფილი ცოდნა (წერილობითი და ზეპირი).

7. ძირითადი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილი ცოდნა (Word, Excel, PowerPoint, ელ-ფოსტა, პროექტის მართვის სისტემები).

8. კომუნიკაციის კარგი უნარი.

9. მინიმალური ზედამხედველობის ქვეშ მუშაობის უნარი.

დაქირავების პირობები: გრძელვადიანი კონტრაქტი სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდის წარმატებით დასრულების შემდეგ.

6) თანამდებობა: ტექნიკური დახმარების და გრენინგის კოორდინატორი, ექვემდებარება შესყიდვების მენეჯერს.

სამუშაო აღწერა:

1. ტრენინგებისა და ტექნიკური დახმარების შესყიდვების განხორციელება მსოფლიო ბანკის პროცედურების თანახმად.

2. საერთაშორისო და აღგილობრივი ტექნიკური დახმარების კოორდინაცია.

3. შესყიდვების დაგეგმვაში, ტექნიკური მომსახურების შერჩევასა და მონიტორინგში აქტიური მონაწილეობა.

4. კონსულტანტების შერჩევისა და დაქირავების გრაფიკების შედგენა.

5. ტექნიკური დახმარების ამოცანების მკაფიოდ განსაზღვრაში მონაწილეობის მიღება.

6. შერჩევის და კონტრაქტის დადების პროცესების მართვა.

7. კონსულტანტებთან ხელშეკრულებების მომზადება და შეთანხმება.

8. საერთაშორისო/აღგილობრივი კონსულტანტების მხარდაჭერა საორგანიზაციო საკითხებში (მგზავრობის ორგანიზაცია, სამუშაო პირობები, შეხვედრების მოწყობა და ა.შ.).

9. საკონსულტაციო მომსახურების ზოგადი მონიტორინგი.

10. ტრენინგებისა და საწაელო მიელინებების პროგრამების კოორდინაცია.

11. შესაბამისი ანგარიშების მომზადება და წარდგენა შესყიდვების მენეჯერის წინაშე.

მოთხოვნები:

1. უმაღლესი განათლება.

2. შესაბამის სფეროში მუშაობის მინიმუმ 3 წლის გამოცდილება.

3. აღგილობრივი/საერთაშორისო შესყიდვების საბაზისო ცოდნა.

4. ქართული და ინგლისური ენების სრულყოფილი ცოდნა (წერილობითი და ზეპირი).

5. ძირითადი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილი ცოდნა (Word, Excel, PowerPoint, ელ-ფოსტა, პროექტის მართვის სისტემები).

6. კომუნიკაციის კარგი უნარი.

დაქირავების პირობები: გრძელვადიანი კონტრაქტი სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდის წარმატებით დასრულების შემდეგ.

7) თანამდებობა: დირექტორის მოადგილე, ექვემდებარება აღმასრულებელ დირექტორს.

სამუშაოს აღწერა:

1. ცენტრის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პროცესებისა და პროცედურების შემუშავება, დანერგვა და შესრულებაზე კონტროლი.

2. ზედამხედველობა ცენტრის აღმინისტრაციაზე, ფინანსებისა და შესყიდვების განყოფილებებზე.

3. ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ფინანსური/შესყიდვების გეგმების და ანგარიშების კოორდინაცია და დროულ მომზადებაზე კონტროლი.

4. შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკამათო საკითხის და აუდიტორული შემოწმების შედეგად წამოჭრილი პრობლემების გაღაჭრაზე პასუხისმგებლობა.

5. ხელმძღვანელობა და აუცილებელი ტრენინგი, მათ შორის: 1) თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება 2) სამუშაოს განაწილება და პრიორიტეტების განსაზღვრა 3) თანამშრომელთა განვითარების და ტრენინგის უზრუნველყოფა.

6. პროფესიულ სფეროში გამოცდილების გაღრმავება თანამედროვე სემინარების და კონფერენციებში მონაწილეობის მონაწილეობის გზით.

7. საფინანსო და შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა.

8. ცენტრის საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა აღგილობრივ და საერთაშორისო წესდებასთან, სტანდარტებთან და კანონებთან.

9. აღმასრულებელი დირექტორის სხვა დავალებების შესრულება.

მოთხოვნები:

1. მსგავს ორგანიზაციაში/პროგრამის/პროექტის მმართველობაში ზედამხედველ დონეზე მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება.

2. სამოქმედო სახელმძღვანელოს მომზადების და მასთან დაკავშირებული საქმიანობის სპეციფიკური გამოცდილება.

3. საფინანსო და შესყიდვების პროცესების ღრმა ცოდნა.

4. ზედამხედველთან, თანამშრომლებთან, ღონორებთან და საზოგადოებასთან ეფექტური თანამშრომლობის უნარი.

5. უპირატესობა მიენიჭება მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელების გამოცდილების ქონას.

6. ქართული და ინგლისური ენების სრულყოფილი ცოდნა (წერილობითი და ზეპირი).

7. სგანდარტულ კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის უნარი, მათ შორის MS Office სრული პაკეტი.

დაქირავების პირობები: გრძელვადიანი კონტრაქტი სამთვიანი გამოსაცდელი პერიოდის წარმატებით დასრულების შემდეგ.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ CV (ინგლისურად და ქართულად) და თანმხლები წერილი (**cover letter**), 2 რეკომენდაცია, დიპლომების და სხვა დოკუმენტების ასლები, ერთი ფოტოსურათი, არაუგვიანეს **2004 წლის 6 ოქტომბრისა** (17:00) შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ალ. ყაზბეგის გამზირი №23, II კორპუსი, V სართული, თბილისი 0160, საქართველო.
ტელეფონი: (99532) 331934; 331839

საკონტაქტო პირი: ნინო გულუა.

გასაუბრებისთვის დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

ჩაბარებული დოკუმენტები აპლიკანტებს არ დაუბრუნდებათ.

რეჰლიკა

ბათუმური „კლასიკური“ ოინები

მსოფლიოს საუკეთესო პლანტაციებიდან გრადიციული მეთოდით მოხალულ და დაფქულ ნატურალურ ყავაზე (როგორც იარლიყი გვამცნობს) მოგახსენებთ, მას „ბათუმური კლასიკური“ ჰქვია.

თავისთავად ვერაფერს დაუწუნებ ბათუმის ხედებით დამშვენებულ, ფერად ცელოფანში ლამაზად შეფუთულ პროდუქციას, წონაში ცდომილება რომ არ ჰქონდეს.

ეტიკეტიდან ირკვევა, რომ ერთი შეკვრა „ბათუმური კლასიკური“ არის 100 გრამი +3 პროცენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეკვრა 103 გრამიც კი შეიძლება აღმოჩნდეს (რაც ხუმრობას უფრო ჰგავს), უარეს შემთხვევაში კი 97 გრამზე ნაკლები არ უნდა იყოს.

რადგან ჩვენ გაჭირვებულ ქვეყანაში ხელფასსაც „გრამობით“ გვაძლევენ, გადავწყვიტე, როგორც ახლაა მიღებული, დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიება მომეწყო – შემემოწმებინა, ეტიკეტზე მითითებული სუფთა წონა 100 გრამი რამდენად შეესაბამებოდა რეალურს, ანუ გამეგო, რამდენს იწონიდა 100 გრამი „ბათუმური კლასიკური“.

ვიყიდე ერთი შეკვრა, მოვიმარჯვე სააფთიაქო სასწორი და ავწონე. 94 გრამი! ცარიელი შესაფუთი პარკი – 4 გრამი, ანუ ერთ ლარად ნაყიდი 100 გრამი სუფთა წონის „ბათუმური კლასიკური“ კიდევ უფრო სუფთა – 90 გრამი გამოვიდა!

სუფთად მუშაობთ, ბათუმელო მეგობრებო, თუკი ყოველ ათ შეკვრა ყავაზე 100 გრამი გრჩებათ. ახლა ასი, ათასი შეკვრა?

კაპიტალისტურ საზოგადოებას როგორ ავაშენებთ, როცა სოციალიზმის გაღმონაშთებიდან ვერა და ვერ გავთავისუფლებულვართ?!

ზემოთ ვთქვი და კვლავ ვიმეორებ: ვერაფერს დაუწუნებ „ბათუმურ კლასიკურს“. ყველა საჭირო ინფორმაციას თავად პარკი გაწვდით, მათ შორის მისამართსაც: შპს „თემი“, საქართველო, ბათუმი, აღმაშენებლის 3/72.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

გვწერენ

გმადლობთ ყურადღებისა და მზრუნველობისთვის

ჩემი ჯანმრთელობა მაინცდამაინც სახარბიელო არ იყო. მარჩიეს და ბალნეოლოგიურ კურორტს მივმართე. მისელისთანავე ყურადღება რომ ვიგრძენი, გამიკვირდა. თანაც გამიხარდა, – ამ ქვეყნად კიდევ ყოფილან ადამიანები, რომლებსაც სიკეთისა და სითბოს გაცემა შეუძლიათ-მეთქი. პირველად რეგისტრატორ ნაირა მეცხოვრებელს შევხვდი, შემდეგ კურორტის მთავარ ექიმს ნანა ჯაკობაას, რომელიც უშუალოდ მკურნალობდა.

გადიოდა დღეები და თანდათან ვეცნობოდი ამ შესანიშნავი დაწესებულების კეთილ ადამიანებს, რომელი ერთი ჩამოვთვალო, თუნდაც ფიზიო-თერაპიული განყოფილების გამგე მზია მკრევალიშვილი, მედღები – გულნაზი ნიკოლაიშვილი, ნელი ნახუცრიშვილი, ეთერ ნასარიძე, ლენა დანელია და სხვები. ისინი მხოლოდ ერთ დიდ საქმეს, ადამიანის ჯანმრთელობას ემსახურებიან, რომელსაც სათავეში ბალნეოლოგიური კურორტის გენერალური დირექტორი ნიკა საკაკაშვილი უდგას.

გმადლობთ ასეთი მყუდრო, სითბოთი სავსე დაწესებულების შექმნისთვის და იმ კეთილი ურთიერთობისთვის, რომელსაც თითოეული თქვენგანი ჩემნაირი მხცოვანი ადამიანებისადმი იჩენთ.

შალვა გენაშვილი.
სამამულო ომის ვეტერანი, საბრძოლო ორდენების კავალერი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტი, აღორძინების საკრედიტო ბანკი-KFW-ს თანადაფინანსებით

აცხადებს ღია ტენდერს ნიადაგის საკვლევი სამუშაოების შესასრულებლად-შესასყიდად, პროექტის მიერ შერჩეულ გეოეკოლოგიურად მკრძნობიარე შემდეგ ტერიტორიებზე:

I – იმერეთის რეგიონი
II – აჭარის რეგიონი

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს, რომლებსაც უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში შესრულებული აქვთ ნიადაგური კვლევა თანამედროვე კოლორებული სისტემის გამოყენებით.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა: 2005 წლის 15 მაისი.

3. დაინტერესებულმა პირებმა „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების დანართი № 1-ის მიხედვით შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები, რომელიც მოიცავს ტენდერში მონაწილის მიერ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შესრულებულ ანალოგიურ სამუშაოთა ნუსხას, სამუშაოთა შესრულებისთვის საჭირო ტექნიკურ აღჭურვილობას, პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ მონაცემებს და სხვა ტექნიკურ შესაძლებლობებს, ქართულ ენაზე, დახურული კონვერტით უნდა წარმოადგინონ მ/წლის 11 ოქტომბრიდან 13 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. № 10/27, IV სართული, საფოსტო განყოფილება 0113.

4. საკვალიფიკაციო მონაცემებს უნდა დაერთოს შემდეგი ცნობები და ინფორმაციები:

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) აუდიტის დასკვნა გასული წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ვ) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ, წესდება (ასლი) და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ზ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დამატებით (გარდა „ა“ „ვ“ პუნქტებისა) ფიზიკური პირებისთვის:

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

5. ოურიდეული და ფიზიკური პირი ვერ გაიელის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 და მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები საღენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ საღენდერო მოსაკრებლის (500 ლარი) გადახდის შემდეგ მ/წლის 20 ოქტომბერს 17 საათამდე, მისამართზე: **ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. № 10/27 IV სართული, საფოსტო განყოფილება 380113.**

7. დამაგებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: **ლიპა ჰანბურია – მიწის კონსოლიდაციის კომპონენტის მენეჯერი, საკონტაქტო ტელეფონი 25 15 28 ან 94 05 48 და ნიკა შახოვი – საგენდერო კომისიის ათარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 25 15 28 ან 94 05 48, მისამართი: ქ. თბილისი, ბულაჩაურის ქ. № 10/27 IV სართული, საფოსტო განყოფილება 380113.**

საგენდერო კომისია.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობაზე:

1. შპს „ვეკს“ მიერ წალკის რაიონში „გუნაა-კალის ვულკანური წიდის საბადოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიმდებარე ტერიტორიის დამუშავების შუა პროექტი“.

2. შპს „როკის“ მიერ მარნეულის რაიონში „კიბილაჯლოს ბაზალტების საბადოს შესწავლისა და დამუშავების პროექტი“;

3. შპს „მშენებელის“ მიერ ბორჯომის რაიონში, სოფ. დაბაში მდებარე „ინერტული მასალის კარიერის დამუშავების პროექტი“;

4. ინდ. საწარმო „გაოს“ მიერ ბორჯომის რაიონში, დაბა წაღვერში მდებარე „ინერტული მასალის კარიერის დამუშავების პროექტი“.

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 9 ნოემბრამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრში: **თბილისი, კოსტავას №68ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში: თბილისი, ფალიაშვილის №87, ტელ. 25-02-19.**

საჯარო განხილვა შედგება 2004 წლის 9 ნოემბერს 12 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური.

შპს „დამი“ (რეგისტრირებული ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 2 ნოემბერს რეგისტრაციის №4/4-1476) აცხადებს ლიკვიდაციას. მისამართი ქ. **თბილისი ლეონიძის 2/4.**

კრედიტორთა საყურადღებოდ!

შეგვიძლია პასუხისმგებლობის საზოგადოება **„პალიგრა“** (რეგისტრირებული ბათუმის საქალაქო სასამართლოში 25.12.2000 წ., № 01/04-1439) და მისი თბილისის ფილიალი „პალიგრა პლიუსი“, რეგისტრირებული ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში 10.01.2002 წ., № 2/4-163, აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართებზე: **1. ქ. თბილისი, მოსკოვის პროსპექტი, სახლი №33, ბინა № 46; 2. ქ. თბილისი, მიქელაძის ქ. №1.**

დირექცია.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 222, პარასკევი, 24 სექტემბერი, 2004 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ქალაქ ჭიათურის ერთ-ერთი პირველი სასულე ორკესტრი. მეორე რიგში, მარცხნიდან მეოთხე: საყვირზე დამკვრელი, შემდგომში ცნობილი მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გრიგოლ ტყაბლაძე. 1935 წელი.

ბ. ხითარიშვილების საოჯახო არქივიდან.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.

გიხაროდენ!

ღმერთმა ცქუპები გვიმრავლოს

– თქვენი გაზეთის პირველი გვერდის დახედვა მიხაროდა, ვიცოდი ერის გამრავლებაზე იქნებოდა ინფორმაცია. ახლა ბოლო გვერდზეა ტკბილ ლუკმასავით შემონახული, ესეც მომწონს. „საქართველოს რესპუბლიკის" ბოლო გვერდი ხომ უამრავ საგულისხმო ცნობას იტევს, მათ შორის – „გიხაროდენსაც", ის ხომ ერის გამრავლებაზე მიგვანიშნებს.

ცოტათი დამიგვიანდა თქვენთვის ამ ამბის შეტყობინება, მაგრამ იმედი მაქვს, ოჯახის სიხარულს მაინც გაიზიარებთ. ჩემმა ქალიშვილმა რუსუდანმა და სიძემ ოთარმა 4 წელიწადია, რაც ოჯახი შექმნეს, დღეს მათ დიდი სიხარული აქვთ, შეეძინათ ტყუპები – გოგო და ბიჭი, გვანცა და ნუგზარი. ჩვილები ჯანმრთელები არიან. გვანცას ქართველი მანდილოსნის ყველა კარგი თვისებით შემკულს გავზრდით, ნუგზარს კარგ ქართველად, – დაგვიკავშირდა ბათუმიდან **თეიმურაზ კომახიძე.**

დაე, ღმერთი იყოს მათი მფარველი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...



– აგვიხსენით, რატომ გსურთ განქორწინება? – ეკითხება მოსამართლე მიხოს.

– საქმე ის არის, რომ ჩემს მეუღლეს ჰყავს ტყუპისცალი, რომელიც ზოგჯერ გვესტუმრებოდა ხოლმე. ხოლო რადგანაც იგი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს თავის დას, რამდენიმეჯერ შემეშალა და... შევცოდე.

– მაგრამ ხომ უნდა იყოს მათ შორის რაიმე განსხვავება მაინც?

– რა თქმა უნდა, არის. ამიტომაც მსურს განქორწინება.

* * *

ცხოვრებაში ყველაფერი ფარდობითია: მაგალითად, ცოლისგან გადამალული ასი დოლარი ჩემთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე ის ათასი დოლარი, რომლის არსებობაც ჩემმა მეუღლემ იცის.

* * *

– გაზეთები განა მუდამ ტყუილებს წერენ, ზოგჯერ სასარგებლო რამეებსაც ბეჭდავენ, – ამბობს ივან ივანიჩი. აი, რა ეწერა ერთ გაზეთში: „თუ გსურთ, მოიპოვოთ შინაგანი სიმშვიდე, უნდა დაამთავროთ ყველა დაწყებული საქმე". მეც გავითვალისწინე ეს რჩევა. დილით, სამსახურში წასვლამდე, გამოვცალე ჭიქაში ჩარჩენილი ღვინო, დავიგემოვნე ნახევარი ფილა შოკოლადი, მოვწიე „მალბოროს" კოლოფში ჩარჩენილი სიგარეტები, ბოლომდე გამოვწრუპე ბოთლში ჩატოვებული შავი ღვინო, ზედ თეთრიც მივაყოლე, გრამიც არ ჩამიტოვებია „სტოლიჩნაიასა" და სომხური კონიაკის ბოთლებში. ჰოდა, როდესაც ყველაფერს მოვრჩი, ვერ წარმოიდგენთ, როგორი შინაგანი სიმშვიდე დამეუფლა და რა კარგ ხასიათზე დავდექი.

* * *

მოდა-2004-ის განსაკუთრებულობა: ქუჩაში გამოსვლისას ქალიშვილი საკუთარი ბიკინების ფერის შესატყვის საყურეს იკეთებს.

* * *

შრომის დისციპლინა ჩვენებურად: სჯობს, სამსახურში ხუთჯერ მიხვიდე და აღენიშნო, ვიდრე ერთხელ დაიწყო და გააკეთო.

იუბილე

„კეთილ ფერიას" დიეტა არასდროს დაუცავს

ერთი საათი ვერა წიგნაძესთან

მთელი სცენური სიცოცხლე ლეგენდარულ ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად გაატარა. მასთან ერთად გაიზიარა ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმატებები. მისი უცვლელი პარტნიორი და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წამყვანი მოცეკვავე იყო. საქართველოს სახალხო არტისტი, არაერთი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვერა წიგნაძე ქართული ეროვნული საბალეტო რეპერტუარის დამკვიდრების მონაწილე და პირველი ინტერპრეტატორი იყო პარტიებისა: კეთილი ფერია (გ. კილაძის „სინათლე"), ირემა (დ. თორაძის „გორდა"), ნატაშა (დ. თორაძის „მშვიდობისათვის"), დეზდემონა (ა. მაჭავარიანის „ოტელო"), თამარი (ს. ცინცაძის „დემონი"), მანიჟე (ა. ბალანჩივაძის „მთების გული").

სპეციალისტები ვერა წიგნაძისათვის დამახასიათებელი თვისებებიდან გამოჰყოფენ პოეტურობას, რომანტიკულ მღელვარებას, მაღალ, ჰაეროვან ნახტომებს, მოძრაობის სიმსუბუქესა და გამომსახველობას. კარგი სცენური გარეგნობა განსაზღვრავდა მოცეკვავის ფართო საშემსრულებლო დიაპაზონს – ლირიკული, დრამატული თუ გმირული ხასიათის როლებში. იგი ერთნაირი ოსტატობით ახერხებდა გადმოეცა ქიზელის რომანტიკული ბუნება თუ ლაურენსიას გმირული სული, ჩელიტას, ოდეტა-ოდილიას, ნიკიას, ავრორას, ტაო-ხოას ხასიათები.

ახლაც, ხანდაზმულობის ასაკში, ცეკვაა მისი ყოველდღიური ცხოვრების აზრი, ახლა უკვე პედაგოგ-რეპეტიტორის ამპლუაში. თავის საოცნებო თეატრის სცენაზე ვინ იცის მერამდენედ ძერწავს მისთვის საყვარელ გმირებს.

დღეს ქალბატონ ვერას დაბადების დღეა, საიუბილეო თარიღი, მას 80 წელი შეუსრულდა. იგი მარჯანიშვილის მოედანზე მდებარე სახლში ცხოვრობს. ფანჯრებიდან ვახტანგ ჭაბუკიანის აივანი და ფანჯრები ჩანს, დიახ, ისინი მოპირდაპირე შენობებში ცხოვრობდნენ. ახლა იქ „ცეკვის ჯადოქრის" მუზეუმია და ქალბატონი ვერა დიდად მადლიერია ახალგაზრდა დირექტორისა, რომელიც ყველაფერს აკეთებს მოცეკვავის სამყოფელში მისი სულის შესანარჩუნებლად.

გუშინ ქალბატონ ვერას შინ ვესტუმრე. ასაკს ვერ შეატყობთ. საკმაოდ ახალგაზრდული იერი აქვს და კვლავაც კოხტაა.

– თქვენ, ალბათ, რაღაც საიდუმლო იცით, ასე კარგად რომ გამოიყურებით, ან დიეტა იცით განსაკუთრებული-მეთქი, ვეუბნები.

– არაფერი განსაკუთრებული, – მომიგო ღიმილით, – ჩვეულებრივად ვიკვებები; არ დაიჯერებთ, ალბათ, რომ წონის პრობლემა არასოდეს მქონია. მოცეკვავეები, როგორც წესი, ძალიან უფრთხილდებიან სხეულს, მე კი დღეში ხუთჯერ ვიკვებებოდი და არასოდეს ვიმატებდი, ასე ვიყავი ადრეც და ასე ვარ ახლაც. არაფერს ვიკლებდი, ფაფებსაც კი.

...ვერა წიგნაძე ბაქოში დაიბადა და გაიზარდა...

– მამაჩემი ქუთაისელი იყო, რაღაც უსიამოვნებას გაერიდა და ბაქოში დასახლდა, – მიამბობს იგი, – დაახლოებით ხუთი წლისა ვიყავი, როცა საქართველოში პირველად ჩამომიყვანა ბაბუასთან. მაშინდელი შთაბეჭდილება ახლაც ცხადად მახსოვს, ისე მოვიხიბლე საქართველოთი, რომ ოცნებად მექცა, საქართველოში მეცხოვრა. დავამთავრე ბაქოს ქორეოგრაფიული სასწავლებელი. ჩემი პედაგოგი, პეტერბურგელი ქალბატონი ა. გაცინა იყო. მოგვიანებით ვახტანგი მეტყოდა ხოლმე, პეტერბურგული სკოლა გაქვსო. ცოტა ხანს ბაქოს ოპერისა და ბალეტის თეატრში ვცეკვავდი, ვიდრე არ მივიღე ვახტანგ ჭაბუკიანის დეპეშა საქართველოში მოწვევაზე. ეს იყო 1946 წელს, აი, ამ წლიდან ვარ თბილისელი...

„დონ-კიხოტი" იყო პირველი სპექტაკლი, რომელიც თბილისში ვიცეკვე, პირველი ქართული ბალეტი კი გრ. კილაძის „სინათლე" იყო, რომელშიც კეთილი ფერია შევასრულე. დანარჩენი ყველამ იცის...

დაბადებიდან სულ ცეკვა უნდოდა და ცეკვავდა კიდეც, ცეკვავდა სახლში, მარტო, თავისთვის, სტუმრების თვალწინ და სტუმრად ყოფნისას, ზოგჯერ ქუჩაშიც, მერე სცენაზე. ცეკვავს ახლაც, წარმოსახვით. არტისტული და მუსიკალური ნიჭი ალბათ გენეტიკით მოსდგამს, მამამისი ჩინებულად მღეროდა როგორც ქართულ ხალხურ სიმღერებს, ისე რუსულ რომანსებს, უკრავდა გიტარაზე. ასე რომ, ოჯახში მის ბავშვურ „ანცობას" არავინ ტუქსავდა, მოცეკვავე ბავშვები ხომ ლამაზ ფრინველებს ჰგავანან... დრო გადის და ადამიანი ხორციელად ბერდება, მაგრამ ხელოვანის სულში ფრინველის სიმსუბუქე და სილაღე არ კვდება.

აი ახლაც, თითქოს ზმანება რეალობად იქცა. ჩვენს ფანჯარასთან, სადაც მე და ქალბატონი ვერა ვისხედით, მტრედები მოფრინდნენ და რაფაზე აგოგმანდნენ – ახლა ჭამის დრო აქვთ, – ამბობს იგი, რახანია მტრედები შემოჩვეული მყავს, ეს სიყვარული ვახტანგ ჭაბუკიანისაგან გადმომედო. თუმცა მას ცხოველებიც საოცრად უყვარდა, ასეა, დღეში სამჯერ მოფრინავენ, ჭამის დრო ზუსტად იციან.

ვუყურებდი ამ მოგოგმანე მტრედებს, თითქოს ფეხს რომ არ აკარებდნენ ფანჯრის ფიცარნაგს, თითქოს რომელიღაც სპექტაკლს ცეკვავდნენ.

„ქიზელი" გავიხსენეთ, ვერა წიგნაძის განსაკუთრებით საყვარელი პარტია.

– ქიზელი მიყვარს თავისი რომანტიკული განცდებით, მეტადრე მეორე აქტი, იგი რთულია და ყველას არ გამოსდის. ისე უნდა იცეკვო, თითქოს იატაკს არც ეხები. ასევე მიყვარს დღემდე ჩელიტა თავისი ტემპერამენტით და ლაურენსიას ფსიქოლოგიურ-დრამატული სახე, მისი გმირული სული. ორივეში ისეთი ნახტომი მქონდა, რომ პირდაპირ ვახტანგის მკლავებში ვხვდებოდი. მინდა, ჩემი ახლანდელი მოწაფის ანა ყიფშიძის ჩელიტაც ჩემსას ჰგავდეს რაღაცით. ანამ ცოტა ხნის წინათ იცეკვა ეს პარტია პირველად და კარგად გამოუვიდა. ძალიან მეიმედება მისი, – პერსპექტიული მოცეკვავეა. ასეთები იყვნენ თავის დროზე ჩემი უსაყვარლესი მოწაფეები მაკა მახარაძე, ლარისა ჩხიკვიშვილი, ეკა ბეზირგანი...

– ნინო ანანიაშვილს ხომ არ ასწავლიდით?

– არა, მაგრამ ჩემი შემდგომი თაობის ყველა ქართველ მოცეკვავე ქალს გარკვეულწილად ჩემს მოწაფედ მივიჩნევ, ისინი ყველანი ქართული საბალეტო სკოლის ტრადიციის გამგრძელებლები არიან, მიუხედავად იმისა, სად და რომელ სცენაზე დაოსტატდნენ. მე მსურს ნინოს ყველანაირად დავეხმარო, ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს და მჯერა, რომ ქართულ საბალეტო დასს სათანადო სიმაღლეზე აიყვანს.

ქალბატონი ვერა წამოდგა და საკენკი გამოუტანა მტრედებს. გამახსენდა პოეტის სტრიქონები „შემოდგომის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი".

რუსუდან მუხიგულაშვილი.

ხსოვნა

გიორგი რაზმაძე

გარდაიცვალა საქართველოს შრომის ვეტერან პენსიონერთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ისან-სამგორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი **გიორგი რაზმაძე.** ჩვენი თაობის მრავალ სიმწრით აღსავსე ბიოგრაფიას კიდევ ერთი ტკივილი მიემატა.

ბატონ გიორგის ისან-სამგორის 40 ათასი შრომის ვეტერანი პენსიონერები ენდნენ და აირჩიეს რაიონული ორგანიზაციის თავკაცად. იგი აქტიურად ედგა მხარში 21-ლარიან ვეტერან პენსიონერებს, რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებს, იცავდა მათი და მათი ოჯახის წევრთა ინტერესებს, უფლებებსა და ღირსებას, მათთვის თავისუფალი არჩევანის მინიჭების უზრუნველყოფას, საზოგადოების ყველა ფენაში იმ მრწამსის დამკვიდრებას, რომ შრომის ვეტერან პენსიონერებზე, ინვალიდებზე და ასაკოვან ადამიანებზე ზრუნვა გახდეს სახელმწიფოს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი, ჰქონდა გამახვილებული პასუხისმგებლობის გრძნობა და საკითხის არსში სიღრმისეული წვდომის უნარი, საოცარი გულისხმიერებითა და სითბოთი ეკიდებოდა ყველა დავალების შესრულებას, გულის სითბოს და სიკეთეს უხვად უწილადებდა ვეტერან პენსიონერებს.

ოჯახს გამოაკლდა ერთგული მეუღლე, მზრუნველი მამა, საყვარელი ბაბუა, კოლეგებს კი – ერთი საიმედო ბურჯი. ახლა გულზე გვყრება, ბატონო გიორგი, მშობლიური მიწა, თან მიგაქვს ოჯახის სევდა და დარდი, ცრემლი. ღმერთო, გაანათლე სული სპეტაკი და სათნო ადამიანისა, რომელსაც ერის გაერთიანების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დარდი თან გაჰყვა. განვიცდით, რომ მეტს ველარ ვიხილავთ, ველარ შევხვდებით ბატონ გიორგის, მარადიულობის სასუფეველში უკვდავად გადასულს, მაგრამ გვჯერა, რომ იგი საუკეთესო მაგალითად დარჩება ჩვენს გულებში. სამარადისო პატივი თქვენ, უკუნითი უკუნისამდე.

საქართველოს შრომის ვეტერან პენსიონერთა კავშირი,
[illegible]

დედა ნინო ინწკირველი, მეუღლე ეკა ქურთუბაძე, შვილები დენისი, თამარი, დები ნათია ნადირაძე, ქეთი ჩაჩანიძე, სიდედრი თამარ, სიმამრი გურამ ქურთუბაძეები, მამიდა ნაზი ნადირაძე, დეიდა ლალი, ბიძები ზაზა, გოჩა, ბაბუა გურამ ინწკირველები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ირაკლი დენისის ძე ნადირაძე
პანაშვიდი 24, 25 IX, 17 სთ. დაკრძალვა 26 IX, 15 სთ. მისამართი: გამსახურდიას გამზ. 16, I სად.

დედა პინა, მეუღლე ჩიტო, შვილები მამუკა, მარინა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ზურიკო არსენის ძე კოპალიანი
პანაშვიდი 25, 26 IX, 17 სთ. დაკრძალვა 27 IX, 14 სთ. მისამართი: მუხიანი, IV ბ მიკრორაიონი, 174-ე ბადი.

მეტროპოლიტენის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება დეპო „გლდანის" მთავარი მექანიკოსის, შრომის ვეტერანის
ომარ მურჯიკნელის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეტროპოლიტენის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი მუშაკის, დიდუბე-ელდეპოს სადგურების უფროსის
ალბერტ მამაიაშვილის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ტექნიკური უნივერსიტეტის მასალათა გამძლეობის კათედრის გამგეს, პროფესორ დემურ დანელიას შვილის, ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლის
კონსტანტინე (კოტე) დანელიას
გარდაცვალების გამო.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი ღრმა მწუხარებით იუწყება
ზიზი ვასილის ძე ბერძენიშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

და ლედი მიქაძე, რძალი ნაზი ჩიქოვანი, დისწულები მელანო, რუსუდან ტორონჯაძეები, ძმისწულები ავთო, დათო მიქაძეები, სიძეები ვახტანგ ლომაძე, ნიკო ლეკიშვილი, რძლები მაია შავთვალაძე, ხათუნა მიქელაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ვალენტინა (კაკულა) სოლომონის ასული მიქაძე
პანაშვიდი 24, 25 IX, 16 სთ. გამოსვენება 26 IX 15 სთ. ცაგერის №6, I სადარბაზო (საბურთალოს ბაზართან).

გამოიცა

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!

საუკუნეების მანძილზე სამშობლოს მონატრებულ ფერეიდნელ ქართველთა დელეგაციის წევრები, საქართველოს რომ ესტუმრნენ, სხვა მრავალ საჩუქართან ერთად დიდად გაახარა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით გამომავალი სამოსწავლო შემეცნებითი გაზეთის „იავნანას" ნობათად მირთმევამაც, ვინაიდან ის ნანატრ სტუმრებს მშობლიური ენისაკენ თავისებურ მეგზურად გამოადგებათ.

ამჯერად მეექვსე ნომრად გამოსული გაზეთის დევიზია ყველა ქართველისათვის სანუკვარი – „მამული, ენა, სარწმუნოება" და წინ უძღვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა: „ღმერთსა ვთხოვ, უცხოობაში მყოფ ჩვენს თანამემამულეთა სიცოცხლესა და ბედნიერებას".

გადაჭარბებად ნუ მიიჩნევთ და, შეიძლება ითქვას, დაინტერესებული მკითხველი სულმოუთქმელად ჩაიკითხავს მას თავიდან ბოლომდე. თავად განსაჯეთ: მის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია საქართველოს ახალი ჰიმნის ნოტები და ტექსტი. აბა, როგორ არ დაგაინტერესებთ გაბრიელ ეპისკოპოსის მოძღვრება – „რა არის მონანიება", ქართველთა დიდი განმანათლებლის იაკობ გოგებაშვილის – „დავით აღმაშენებელი", ნოდარ დუმბაძის – „ჩემი რუსთაველი" და ვლადიმერ ალფენიძის – „ოქსფორდული თქმულება რუსთაველზე". უწმინდესი და უნეტარესი ილია II გვაცნობს, თუ რით დაიმსახურა ილია ჭავჭავაძემ წმინდანად შერაცხვა. ივანე სრესელი კი დიდ ვაჟაზე მოგვითხრობს.

გაზეთის მთავარი მკითხველი, მოზარდი, ალბათ, წაუკითხავს არ გაუშვებს ვაჟა-ფშაველას „პაპას მსოფლიო ფიქრებს", აკაკი წერეთლის „კურდღელს", ტარიელ ჭანტურიას, ნიკოლოზ ჩაჩავასა და სხვათა საბავშვო ლექსებს, შოთა ნიშნიანიძის დიდებულ ქმნილებას „ჩემი პირველი მასწავლებელი" და ბოლოს, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელ ქიქოძის დამოძღვრას „საყვარელო ყრმანო!"

ყველა, ვინც გამომცემლობა „ივერია XXI" მიერ დასტამბულ „იავნანას" ამ ნომერს გულდასმით გაეცნობა, ალბათ, უნებურად წარმოთქვამს – ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!

ვალიკო სიმონიშვილი.



დღის კალენდარი 24 სექტემბრისთვის

ამოდის 06.49
ჩადის 18.55

ამოდის 14.02, ჩადის 22.19

წლის 268-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 98 დღე.

საეკლესიო კალენდარი

ხსენება ღირსი თეოდორა ალექსანდრიელისა (474-491); მოწამეთა დიმიტრისა, ევანთიასი, ცოლისა მისისა და ძისა მათისა დიმიტრიანესი (I); მოწამე დიოდორესი და დიდიმესი – ასურელთა; მოწამე იასი (363-364). ღირსი ევფროსინესი (IX). ღირსი სილოანე ათონელისა.

წმიდა მოწამე დიმიტრი ჰელესპონტის ქალაქ სკეპსიის მთავარი და განმგებელი იყო. ქრისტეს რწმენის აღიარებისთვის წარმართებმა ის თავისი ოჯახით სასტიკად აწამეს.

წმიდა მოწამე ია ქალწული 9 ათას ქრისტიანთან ერთად შეიპყრო სპართა მეფემ საპორ მეორემ და მას ქრისტესგან განდგომა მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. წმიდა მოწამე იას დიდი ტანჯვის შემდეგ თავი მოჰკვეთეს.

ღირსი ევფროსინე მონაზონი იყო პალესტინის ერთ-ერთ მონასტერში.

დაიბადნენ:

1717 – ჰორაციო უოლპოლი, ინგლისელი მწერალი. გარდაიცვალა 1797 წელს.

1869 – ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი, ამერიკელი მწერალი, „დიდებული გეტსბის" ავტორი. გარდაიცვალა 1940 წელს.

1898 – კოხტა ყარალაშვილი, კინომსახიობი. გარდაიცვალა 1947 წელს.

1893 – ნიკოლოზ ანთელავა, ქირურგი, აკადემიკოსი, გულმკერდის ქირურგიის ფუძემდებელი საქართველოში. გარდაიცვალა 1970 წელს.

1924 – ვერა წიგნაძე, ბალერინა, საქართველოს სახალხო არტისტი.

1928 – ზურაბ ტატაშიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი.

1931 – როლან კილაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

1956 – გია ბუღაძე, მხატვარი.

გარდაიცვალნენ:

1541 – პარაცელსი, შუა საუკუნეებში ცნობილი ექიმი და ალქიმიკოსი.

1802 – ალექსანდრ რადიშჩევი, რუსი მოაზროვნე, მწერალი.

1812 – პეტრე ბაგრატიონი, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი. 1812 წლის „სამამულო ომის" გმირი. დაიბადა 1765 წელს.

1920 – კარლ ფაბერჟე, ცნობილი იუველირი.

მოვლენები:

1606 – დაიწყო ივანე ბოლოტნიკოვის აჯანყება, პირველი სერიოზული გამოსვლა ბატონყმობის წინააღმდეგ.

1789 – შეიქმნა შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრო.

1829 – რუსეთმა და ოსმალეთმა ადრიანოპოლში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას.

1905 – შვეციამ აღიარა ნორვეგიის დამოუკიდებლობა.

1941 – ლონდონში გაიხსნა ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილე ქვეყნების ხელმძღვანელთა კონფერენცია.

ღირსსახსოვარი დღეები:

იაპონია – შემოდგომის ბუნიაობა.

კამპუჩია – კონსტიტუციის დღე.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა – მემკვიდრეობის დღე.

გვინეა-ბისაუ – დამოუკიდებლობის დღე.

„მედია-ნიუსი".

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა საკონსულტაციო მომსახურებაზე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც ახორციელებს მსოფლიო ბანკის მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის მეორე პროექტს, აცხადებს საკონსულტაციო ფირმის შესარჩევ კონკურსს ქ. ბათუმის წყლის მიწოდების, კანალიზაციის და სანიაღვრე სისტემების შესწავლის მიზნით.

მომსახურება გულისხმობს 150-ათასიანი მოსახლეობის მქონე ქალაქის წყლის მიწოდების, კანალიზაციისა და სანიაღვრე სისტემების არსებული მდგომარეობის შესწავლას, განვითარების მიმართულებების განსაზღვრას და სარეაბილიტაციო გეგმის შემუშავებას. მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა ხუთი თვე.

ამჟამად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს ინტერესის გამოსახატავად აღნიშნული მომსახურების მოწოდებაზე. დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია იმის დასტურად, რომ შესაძლებლობა აქვთ, გასწიონ აღნიშნული მომსახურება (ბროშურები/მასალები, განხორციელებული მსგავსი მომსახურების აღწერილობა, მსგავს პირობებში საქმიანობის გამოცდილება, პერსონალის სათანადო კვალიფიკაცია და სხვა).

საკონსულტაციო ფირმა შეირჩევა მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პროცედურების შესაბამისად: *კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის მსესხებლების მიერ (მიმდინარე გამოცემა).*

დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე 10-დან 18 საათამდე.

ინტერესთა გამოხატვის წერილები მოწოდებული უნდა იყოს ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე არა უგვიანეს 2004 წლის 11 ოქტომბრისა.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.
იეთიმ გურჯის ქ. №7-ბ, თბილისი 0105,
ტელ: 94-32-40, 94-29-47, 92-34-70, 92-34-69
ფაქსი: 94-04-39, 43-30-47
ელ-ფოსტა: mdf@mdf.org.ge

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი **რუსუდან ლორთქიფანიძე.**

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika